www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 15 აგვისტო, 2012 წელი. | №3090 (183) | ფასი 50 თეთრი

სიების "დამალვის" ბრალდება და ცესკო-ს პასუხი

დათო გამისონია

"ქართული ოცნების" წევრები ირაკლი ალასანია, დავით უსუფაშვილი, მაია ფანჯიკიძე, გოგი თოფაძე, დავით საგანელიძე, მანანა კობახიძე და სოზარ სუბარი საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს გუშინ, დაახლოებით, 2 საათის განმავლობაში ესაუბრებოდნენ საარჩევნო კამპანიის დროს გამოვლენილი დარღვევების შესახებ.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ირაკლი ალასანიამ ჟურნალისტებს უთხრა, რომ დიპლომატებს წარუდგინეს კონკრეტული ფაქტები, სადაც ასახულია, როგორ ცდილობენ "ნაციონალური მოძრაობის" წევრები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები "ქართული ოცნების" შეხვედრების ჩაშლას.

"კუდი და შსს-ს დანარჩენი სამსახურები პოლიტიკური ოპოზიციის წინააღმდეგ თავის სადაზვერვო საშუალებებს იყენებენ. კოალიციის წევრებს კუდის თანამშრომლები საზღვარგარეთაც დაჰყვებოდნენ და ისინი ადგილობრივმა პოლიციამ დაიკავა. ეს დასავლურ პრესაშიც დაიწერა," - ამბობს ირაკლი ალასანია. როგორც "თავისუფალი დემოკრატების" ლიდერი დასძენს, მათ დიპლომატებს ინფორმაცია მიაწოდეს იმ ჯარმების შესახებაც, რომლებიც ბიძინა ივანიშვილს, კახა კალაძესა და პოლიტიკურ პარტიებს დაეკისრათ.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

სირიის ფარული გარიგებები

შეტაკება იორდანიის საზღვართან

ხათუნა გაბიევი

ფარული გარიგებები და დასავლეთის მოტყუების მცდელობა - ასეთია ამერიკული მედიის შეფასება ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის მოქმედებაზე მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ სირიის ხელისუფლება, რუსული ბანკების მეშვეობით, დასავლური სანქციებისთვის გვერდის ფარულად ავლას აპირებდა. ამის შესახებ სტატია გავლენიან გამოცემა "უოლ სტრიტ ჯორნალში" დაიბეჭდა.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

ჰადიშის პოზიტიური და ნეგატიური სიახლეები

ბელა ჩეკურიშვილი

ჰადიშის მყინვარი ყველაზე მშვენიერი მყინვარია საქართველოში, მაგრამ იმითაცაა გამორჩეული, რომ ყველაზე სწრაფად მოკლდება. იგი თეთნულდიდან ეშვება და, როგორც გეოგრაფები ამბობენ, ასეთი მკვეთრი ცვლილების ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ ციცაბოდ ვარდება თეთნულდის ფერდობზე. ჰადიშის მყინვარი ყველაზე მეტადაა შემცირებული ბოლო 132 წლის განმავლობაში. ამაზე დაკვირვების საშუალებას ის ფოტოც გვაძლევს, რომელიც 1890 წელს იტალიელმა მოგზაურმა ვიროტიო სელამ სვანეთში გადაიღო.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

ბრეივიკი პოლიციას უფრო ადრე უნდა გაეჩერებინა

სალომე ჯანიაშვილი

ნორვეგიაში დამოუკიდებელი კომისია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ პოლიციას შეეძლო, ხელი შეეშალა ოსლოს ცენტრში აფეთქებისთვის, რომელიც ანდრეს ბრეივიკმა განახორციელა. მათ ასევე, კუნძულ უტოიაზე ბრეივიკის ნეიტრალიზება ბევრად უფრო სწრაფად შეეძლოთ. შესაძლებელი იყო უტოიაზე სასაკლაოს თავიდან აცილებაც.

ანდრეს ბრეივიკმა აღიარა, რომ გასული წლის 22 ივლისს მოკლა 77 და დაჭრა 240 ადამიანი. მის მსხვერპლთა უმეტესი ნაწილი კუნძულ უტოიაზე მდებარე ახალგაზრდული ბანაკის წევრები იყვნენ.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6441	
1 ევრო	2.0247	↓
1 ინგლისური გირვანქა	2.5722	↓
1 თურქული ლირა	0.9203	↓
100 რუსული რუბლი	5.2226	↓

თბილისი	35°C - 22°C
ქუთაისი	34°C - 22°C
თელავი	35°C - 19°C
ზუგდიდი	32°C - 22°C
ბათუმი	28°C - 22°C

ნავთობი	3.02	-0.02	-0.70%
გაზი	2.79	-0.15	-5.48%
ოქრო	1,621.60	+3.50	+0.22%
ხორბალი	888.00	-25.00	-2.82%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

FM 102.4
საინფორმაციო, საზოგადოებრივი მაუწყებელი

ბანკი კონსტანტა
BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

აფხაზეთის ომიდან 20 წელი გავიდა

მარი ახსიაშვილი

აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყებიდან გუშინ 20 წელი შესრულდა. გმირთა მოედანზე, საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალთან, ჭირისუფლები დილიდან იკრიბებოდნენ. მემორიალი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლებმა გვირგვინით შეამკეს. როგორც აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ გია გვაზავამ განაცხადა, მათ პატივი მიაგეს იმ გმირებს, რომლებმაც დიდ იმპერიასთან უთანასწორო ბრძოლაში დადეს თავი.

"დღევანდელი დღე უმძიმესი დღეა. ომი ყოველთვის უბედურებაა, მით უმეტეს, როდესაც ის თავსმოხვეულია. ეს დღე, როდესაც ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა ომი თავს მოგვახვია, ვფიქრობ, ორივე ეთნოსისთვის ერთნაირად უნდა იყოს მძიმე და დაუვიწყარი, რათა აღარ განმეორდეს," - განაცხადა გია გვაზავამ.

გმირთა მოედანზე აფხაზეთის ლეგიტიმური უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ადა მარშანიაც მივიდა. მისი თქმით, თუ ქართველები ერთად არ დადგნენ, ქვეყნის გამთლიანება ძალიან რთული იქნება.

აფხაზეთის ომში დაღუპული ქართველი მეომრის დედის ნაირა კალანდიას თქმით, 20 წლის წინათ აფხაზეთში საომარი მოქმედებებით საზარელი დღეები დაიწყო.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

ოცნების რეინკარნაცია

აშშ-ის ოლიმპიური ნაკრები გუნდების რეიტინგი

2012 წლის ფორმაციის აშშ-ის საკალათბურთო ნაკრები იმუქრებოდა, რომ 1992 წლის ფორმაციის "დრიმ თიმის" დამარცხებასაც კი შეძლებდა, მაგრამ ლებრონ ჯეიმსმა და კომპანიამ განსაკუთრებული შთაბეჭდილება არ დატოვეს. შევადგინოთ "ოცნების გუნდების" ერთგვარი რეიტინგი.

1. 1992 (Dream Team)

შემადგენლობა: მეჯიქ ჯონსონი, მაიკლ ჯორდანი, ჩარლზ ბარკლი, კარლ მელოუნი, პატრიკ იუინგი, ლარი ბერდი, კლაიდ დრექსლერი, კრის მალინი, სკოტი პიპენი, დევიდ რობინსონი, ჯონ სტოკტონი, კრისტიან ლეიტნერი

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

ბოლო "ოცნების გუნდის" ლიდერი, მისტერ კევინ დიურანი

პრემიერი გურიაში

ვანო მერაბიშვილმა გუშინ ოზურგეთის რაიონის სოფელ მთის პირში, მდინარე ბახვის წყალზე ჰესის მშენებლობა დაათვალიერა. ტერიტორიაზე სულ სამი ჰესი შენდება. კასკადის მშენებლობისთვის, სადაც 480 ადამიანია დასაქმებული, 48 მილიონი დოლარი დაიხარჯება. მშენებლობა 2013 წელს დასრულდება. "ბახვი-3" ექსპლუატაციაში ოქტომბერში შევა. კასკადის ამოქმედების შემდეგ გამომუშავებული ელექტროერგია შიდა მოხმარებაზეა გათვლილი, თუმცა საჭიროების შემთხვევაში, ექსპორტზეც გავა. ჰიდროელექტრო სადგურის კასკადი 155 მილიონ კილოვატ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი ოზურგეთში ადგილობრივ ფერმერებსაც შეხვდა. ვანო მერაბიშვილმა მათ ახალი ოთხწლიანი სამთავრობო პროგრამის - "მეტი სარგებელი ხალხს" ფარგლებში დაარსებული "საქართველოს ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტის სახელმწიფო კომპანიის" საქმიანობა და სამომავლო გეგმები გააცნო. პრემიერ-მინისტრმა ისაუბრა კომპანიის გეგმებზე, რომელმაც მოსახლეობისგან ჭარბი მოსავალი უნდა ჩაიბაროს და შემდეგ ექსპორტზე უკრაინაში გაიტანოს, საიდანაც მოგვიანებით ევროპის ქვეყნებში რეექსპორტი განხორციელდება. ვანო მერაბიშვილის განცხადებით, ფერმერებს და გლეხებს ექნებათ გარანტია, რომ აღნიშნული კომპანია სრულად ჩაიბარებს ჭარბ მოსავალს კონკურენტულ ფასად, უზრუნველყოფს მის დახარისხებასა და დაფასოებას და საზღვარგარეთ უსაფრთხოდ ტრანსპორტირებას, ხოლო დანაკარგების შემთხვევაში ზარალს აანაზღაურებს. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ მსგავსი ტიპის გარანტიები აუცილებელია გლეხებისთვის, რათა მათ მეტი მოსავლის მოყვანის სტიმული ჰქონდეთ.

გუშინვე ვანო მერაბიშვილი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის უფასო ვაქცინაციის სახელმწიფო პროგრამის მიმდინარეობას გაეცნო. ოფიციალური ინფორმაციით, უფასო ვაქცინაციის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ახალი ოთხწლიანი სამთავრობო პროგრამის ნაწილია, ორიენტირებულია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაავადებათა პრევენციაზე. მერაბიშვილის განცხადებით, აღნიშნული პროგრამის მიზანია რეგულარული ვაქცინაციის გზით, მომდევნო სამი წლის განმავლობაში მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი პირუტყვისთვის საშიში ისეთი დაავადებების რისკი, როგორიც თურქული და ჯილეხია.

ძლიერმა წვიმამ ფოთი დატბორა

ძლიერმა წვიმამ ფოთის რამდენიმე უბანი დატბორა. წყალი საცხოვრებელი სახლების პირველ სართულებზე შევარდა და მოსახლეობა დააზარალა. ფოთის მერიაში აცხადებენ, რომ წყლის ამოტუმბვა ელექტროენერგიის გათიშვის გამო ვერ მოხერხდა.

ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ლაშა ბერაიას თქმით, აუცილებელია ქალაქში დამატებითი სატუმბი სადგურების აშენება, რათა პრობლემა აღმოიფხვრას. "შეუძლებელია, ქალაქში მუდმივად ეს პრობლემა არსებობდეს. შევეცდები, მომავალი წლის ბიუჯეტის პრიორიტეტების განსაზღვრისას ახალი სატუმბი სადგურების აშენების საკითხი დავსვა," - აცხადებს ბერაია.

ძვირფასო მკითხველო

7 წლის ლუკა წულეისკირს, რომელიც დაავადებულია - **მწვავე ლიმფოიდური ლეიკემიით** და ამჟამად გადის მკურნალობას ინტენსიური ქიმიოთერაპიის კურსით გერმანიაში, ქალაქ ფრაიბურგის საუნივერსიტეტო ბავშვთა კლინიკაში აუცილებლად ესაჭიროება **ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გადანერგვის გადაუდებელი ოპერაცია.**

გთხოვთ, გულთან ახლოს მიიტანოთ პატარა ლუკას მდგომარეობა, გამოიჩინოთ გულისხმიერება და შესაძლებლობის ფარგლებში, **ნებისმიერი ოდენობის** (მცირეოდენი) შენატანებით დაგვეხმაროთ ოპერაციისთვის საჭირო თანხების შეგროვებაში.

საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის კოდი: **KSBGGE22**
ბანკის დასახელება: **კორ-სტანდარტ ბანკი**
ანგარიში: **GE19KS0000000360800511**
მიმღები: **ა(ა)იპ ლუკა წულეისკირის დახმარების ფონდი**

ასევე შესაძლებელია ჩარიცხვა განხორციელდეს ნებისმიერი მობილური ოპერატორის მეშვეობით (1 ზარის ღირებულებაა 1 ლარი) შემდეგ ნომერზე:

0 901 500 552

წინასწარ გიხდით დიდ მადლობას თქვენი თანადგომისა და დახმარებისთვის.

ყადაღის გასაჩივრების უფლება

ომბუდსმენის რეკომენდაცია პარლამენტს

სახალხო დამცველი საკანონმდებლო ორგანოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების განხორციელების რეკომენდაციით მიმართავს. ომბუდსმენის მტკიცებით, მესაკუთრეს საშუალება უნდა მიეცეს, სასამართლოში გაასაჩივროს მის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე გამოყენებული ყადაღა.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ კანონმდებლობის მიერ საკითხის დაურეგულირებლობა, ანუ ის, რომ მესაკუთრე ვერ ასაჩივრებს საკუთარ ქონებაზე დადებულ ყადაღას, საქართველოს კონსტიტუციის მუხლებს - სამართლიანი სასამართლოს უფლებას და საკუთრების უფლებას - არღვევს.

საქმე ისაა, რომ სახალხო დამცველს უკანასკნელი თვეების განმავლობაში არა ერთმა პირმა მიმართა განცხადებით. განმცხადებლები ირწმუნებიან, რომ საგამოძიებო ორგანოების მიერ მათი ქონების ან საბანკო ანგარიშების დაყადაღების გამო უკანონოდ შეიზღუდა მათი საკუთრების უფლება.

როგორც გაირკვა, სახალხო დამცველმა საკუთარი ინიციატივით დაიწყო რამდენიმე საქმის შესწავლა, რომელიც დაკავშირებული იყო "გლობალ კონსალტინგისა" და სტუდია "მაესტროს" საკუთრებაში არსებული სატელიტური ანტენების, ასევე სხვადასხვა ფიზიკური და იურიდიული პირების საბანკო ანგარიშების დაყადაღებასთან.

საქმეების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ როგორც ნივთების, ასევე საბანკო ანგარიშების დაყადაღება შეეხებოდა იმ პირთა ქონებას, რომლებიც სისხლის სამართალწარმოებისას მხარეს არ წარმოადგენდნენ, ანუ, არ იყვნენ ბრალდებულები.

"მსგავსი საქმეების შესწავლისას სახალხო დამცველი უფლებამოსილია შეაფასოს მხოლოდ სასამართლოს მიერ საკითხის განხილვისას მხარეთა პროცესუალური უფლებების დაცვის საკითხი, ხოლო საკითხის გადაწყვეტისას მოსამართლის მიერ მტკიცებულებათა შეფასება სახალხო დამცველის კომპეტენციას სცდება. საქმეების განხილვისას გამოიკვეთა, რომ როგორც ნივთების, ასევე საბანკო ანგარიშების დაყადაღება შეეხებოდა იმ პირთა ქონებას, რომლებიც სისხლის სამართალწარმოებისას მხარეს არ წარმოადგენდნენ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი კი ყადაღის გასაჩივრების უფლებას მხოლოდ მხარეს ანიჭებს," - განმარტავს ომბუდსმენი გიორგი ტუღუში.

შესაბამისად, სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს, განახორციელოს სათანადო ცვლილებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რაც, სახალხო დამცველის მტკიცებით, შექმნის ეფექტურ საშუალებას სამართალდამცავი ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე ყადაღის გამოყენებისას მესაკუთრის მიერ საკუთარი უფლების სასამართლოში დასაცავად.

სამაშველო ოპერაციები

შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის სამაშველო მომზადებისა და რეაგირების სამსახურის მაშველებმა, ბოლო დღეების განმავლობაში რამდენიმე სამაშველო ოპერაცია განახორციელეს

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, მაშველები რუს მთამსვლელთა სამკაციანი ჯგუფის დასახმარებლად მას შემდეგ გავიდნენ, რაც ერთ-ერთ მთამსვლელს კარავიდან გამოსვლისას ფეხი დაუცდა და კლდეზე გადაიჩეხა.

"ჯგუფის დანარჩენი წევრები კავშირზე გამოვიდნენ და დახმარება ითხოვეს. ქართველმა მაშველებმა პირველ რიგში, გარდაცვლილი ალპინისტი, მოგვიანებით კი მისი ჯგუფის 2 წევრი ვერტმფრენით მესტიაში ჩამოიყვანეს.

მესტიაში ჩამოიყვანეს სომეხი ალპინისტი ანდრონიკ მირიბიანიც, რომელიც უშბაზე ასვლას მარტო გეგმავდა.

სამაშველო ოპერაცია განხორციელდა ლენტეხის რაიონშიც, სადაც 5 იტალიელი ტურისტი ზღვის დონიდან 2400 მეტრზე ერთ-ერთ ქედზე იყო გაჩერებული. ტურისტები ფეხით მოძრაობდნენ და გადაღლის გამო გზის გაგრძელება ვეღარ შეძლეს. იტალიელები ქართველმა მაშველებმა ლენტეხში ვერტმფრენით ჩამოიყვანეს", - ნატქვამია განცხადებაში.

გორის სასამართლოს გადაწყვეტილება მოქალაქის სასარგებლოდ

გორის რაიონულმა სასამართლომ ქურდობაში ბრალდებული არასრულწლოვანი გაამართლა.

საქმის მასალების მიხედვით, ნინო ილარიანს გამოძიებამ ბრალი წაუყენა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის 1 ნაწილით და იგი ქურდობაში დაადანაშაულა. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, არასრულწლოვანმა ნინო ილარიანმა გორის რაიონის სოფელ მეღვრეკისში, მეზობლის მარიამ ილარიანთან სტუმრად მყოფ მარგალიტა ჭალელაშვილის ხელჩანთიდან მოიპარა 70 ლარი.

საქმის არსებითი განხილვისას, სასამართლომ განიხილა წარდგენილი მასალები და მივიდა დასკვნამდე, რომ მასალები არ იყო საკმარისი ბრალის დასადასტურებლად.

ვინაიდან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რაც კონკრეტულ შემთხვევაში, საქმეში ბრალდების მხრიდან წარმოდგენილი არ ყოფილა, ხოლო საქართველოს სსკ-ის მე-5 მუხლის მე-3 ნაწლიდან გამომდინარე ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ, ამიტომაც ნინო ილარიანი გამართლდეს წარდგენილ ბრალდებაში, - ნათქვამია სასამართლოს განაჩენში, რომლითაც სასამართლომ არასრულწლოვანი წარდგენილ ბრალდებაში უდანაშაულოდ ცნო.

გორის რაიონული სასამართლო ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით კი, დავა მოქალაქის მოქალაქის სასარგებლოდ დასრულდა.

გორის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ ვ. ჩ-ს სარჩელი გორის მუნიციპალიტეტის მიმართ. საქმე ისაა, რომ გორის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ აუქციონში გაიმარჯვა ვაჟა ჩახვაშვილმა და მას საკუთრებაში უნდა გადასცემოდა გორში, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარედ არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 13 706 მ2 მიწის ნაკვეთი. აუქციონის ჩატარებისას ვაჟა ჩახვაშვილმა კომისიას შესთავაზა 123 356 ლარი, საიდანაც მას ბეს სახით გადახდილი ჰქონდა 24 670 80 ლარი. მან შეთავაზებული ყიდვის ფასის დარჩენილი თანხის ნაწილი - 98 685 ლარი გადაიხადა, რის გამოც, მთლიან თანხას - 123 356 ლარს დააკლდა 20 თეთრი. ამ ფაქტის გამო აუქციონი გამოცხადდა გაუქმებულად. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ვაჟა ჩახვაშვილს დაჰპირდა, რომ 98 685 ლარს დაუბრუნებდა უკან, თუმცა დაპირება არ შეასრულა. ამის გამო, ვაჟა ჩახვაშვილმა სასამართლოს მიმართა და გადახდილი თანხის უკან დაბრუნება მოითხოვა.

სასამართლომ საქმე განიხილა და გორის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაავალა, დაუბრუნოს ვაჟა ჩახვაშვილს მის მიერ გადახდილი თანხა - 98 685 ლარი.

ქართულ ავიაბაზარზე Turkish Airlines-ი ლიდერობს

იანვარ-ივნისში თბილისის საერთაშორისო აეროპორტი 585 700 მგზავრს მოემსახურა. იანვარ-მაისში იგივე მაჩვენებელი 402 736 იყო. ბათუმის აეროპორტში კი მგზავრთბრუნვამ წლის დასაწყისიდან ივნისის ჩათვლით 57 000 შეადგინა, იანვარ-მაისში - 39 929. მგზავრთბრუნვის შესახებ მონაცემები სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ეკუთვნის. მათი ცნობით, ჯამურად, ივნისში საქართველოს აეროპორტებში მგზავრთნაკადი 44 პროცენტით არის გაზრდილი.

ქართულ ავიაბაზარზე ავიაკომპანიებს შორის მგზავრების გადაყვანის რაოდენობით Turkish Airlines-ი ლიდერობს, რომელმაც იანვარ-ივნისში 66 450 მგავრს მოემსახურა. მხოლოდ ივნისში გადაყვანილი მგზავრების რაოდენობამ კი 16 521 შეადგინა.

ბაზარზე მეორეა «აირზენა». ქართული კომპანიის მიერ გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა მიმდინარე წლის 6 თვეში 57 644-ია, მხოლოდ ივნისში კი - 16 456.

მესამე პოზიციას იკავებს Pegasus Airways-ი. იანვარ-ივნისში ამ ავიაკომპანიამ 38 010 მგზავრი გადაიყვანა, ივნისში კი - 8 642.

მეოთხე ადგილზე უკრაინული «აეროსვიტია». კომპანია იანვარ-ივნისში - 36 734, ხოლო ივნისში კი 11 546 მგზავრს მოემსახურა

დღეისათვის საქართველოს ავიაბაზარზე 24 ავიაკომპანია ოპერირებს. აქედან 2 ქართულია - «აირზენა» და ბაზარზე ახლად შემოსული Fly Georgia.

საკუთარი ინფორმაცია

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

სიების "დამალვის" ბრალდება და ცესკო-ს პასუხი

პირველი გვერდიდან

ალასანიას მტკიცებით, სააკაშვილმა ოპოზიციისთვის სასუნთქი სივრცე დახურა.

"შევთანხმდით, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა მთელ საარჩევნო კამპანიასა და ხმების დათვლის პროცესს ყურადღებით დააკვირდება," - აცხადებს ალასანია.

კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც ალასანია ყურადღებას ამახვილებს, ამომრჩეველთა სიებს ეხება. მისი თქმით, დიპლომატები დაინტერესდნენ, რატომ არ მიაწოდა ცესკო-მ გადამოწმებული სიები პოლიტიკურ პარტიებს. ალასანიას თქმით, "ქართულმა ოცნებამ" სიების გადაცემა მოითხოვა. მისივე ინფორმაციით, სიების საკითხზე "ქართული ოცნების" საარჩევნო შტაბის უფროსი დავით საგანელიძე დღევანდელ პრესკონფერენციაზე დეტალურად ისაუბრებს.

"24 საათი" ცესკო-ს სპიკერ ეკა აზარაშვილს ესაუბრა. როგორც მან აღნიშნა, "რესპუბლიკურმა პარტიამ" საარჩევნო სიების გადაცემის მოთხოვნით ცესკო-ს და ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიას მხოლოდ გუშინ მიმართა. **"პარტიამ საარჩევნო ოლქებად და უბნებად დაყოფილი ამომრჩეველთა ერთიანი სიების გადაცემა მოითხოვა. ცესკო-ს კი პასუხის გასაცემად 2-დღიანი ვადა აქვს, რომელიც ჯერ არ ამოწურულა,"** - აღნიშნა გუშინ ეკა აზარაშვილმა.

აზარაშვილი სიების ირგვლივ შექმნილ გარემოებაზეც საუბრობს: **"12 აგვისტო ბოლო ვადა იყო, როდესაც საარჩევნო ოლქებს უბნების საზღვრები უნდა დაეზუსტებინათ. თუმცა, ოლქების მიერ დადგენილი უბნების საზღვრები გაასაჩივრეს და, შესაბამისად, სანამ ეს პროცესი არ დასრულდება, მანამდე უბნების საზღვრების საბოლოო სახე ფიზიკურად არ გვექნება. ამიტომ, "რესპუბლიკურ პარტიას," რა თქმა უნდა, საარჩევნო უბნებად დაყოფილ სიას ვერ მივაწვდით, მაგრამ ოლქებად დაყოფილ ამომრჩეველთა ერთიან სიას კანონით დადგენილ ვადაში გადავცემთ."**

რაც შეეხება სიის გამოქვეყნების საკითხს, როგორც აზარაშვილი განმარტავს, კანონმდებლობის მიხედვით, არჩევნებამდე არაუგვიანეს 34 დღისა, როდესაც საუბნო-საარჩევნო კომისიებში პირველი სხდომები იმართება, საუბნო კომისიებს უბნებად დაყოფილი ამომრჩეველთა ერთიანი სია უკვე ხელთ უნდა ჰქონდეთ. ისინი სიის საჯარო ვერსიას საარჩევნო უბნის კედლებზე აკრავენ. **"ჩვენ, რა თქმა უნდა, კანონის მიხედვით ვიმოქმედებთ,"** - ამბობს ეკა აზარაშვილი.

კოალიცია "ქართული ოცნების" მიმართვამდე კი ცესკო-ში სიების გადაცემის მოთხოვნით განცხადება ჯონდი ბაღათურიას "ქართულმა დასმა" შეიტანა. **"ჯონდი ბაღათურიასთვის გადასაცემი მასალები მომზადებული გვაქვს, რომელსაც ოლქებად დაყოფილი სიის ელექტრონული ვერსია ერთვის. როდესაც უბნების საზღვრები საბოლოოდ დადგინდება, ბაღათურიას ამ ტიპის სიაც გადაეცემა,"** - აღნიშნა ცესკო-ს სპიკერმა.

ქდმ-მ თბილისის 8 მაჟორიტარი დაასახელა

დათო გამისონია

კოალიცია "ქართული ოცნებისა" და "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" შემდეგ, თბილისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები "ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამ" დაასახელა. პარტიამ საარჩევნოდ პაატა დავითაიას "ევროპელ დემოკრატებთან" ერთად საარჩევნო ბლოკი ჩამოაყალიბა - "გიორგი თარგამაძე - ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება." ბლოკის სახელით კანდიდატები გუშინ ვერის საკალათბურთო დარბაზში წარადგინეს.

ვაკეში კენჭს იყრის მოჭადრაკე ნინო გურიელი; ჩუღურეთში - კახა ბასილია; ისანში - პარლამენტის ვიცე-სპიკერი ლევან ვეფხვაძე; გლდანში - თბილისის საკრებულოს ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატების" თავმჯდომარე ინგა გრიგოლია; ნაძალადევში - თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ჯაბა სამუშია; სამგორში - პარლამენტის წევრი მაგდა ანიკაშვილი; მთაწმინდაზე - ფერია ანთია. საბურთალოსა და დიდუბეში კი მაჟორიტარ კანდიდატებს "ქრისტიან-დემოკრატები" მოგვიანებით დაასახელებენ.

"ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერმა გიორგი თარგამაძემ, კანდიდატების წარდგენასთან ერთად, "გიორგი თარგამაძე - ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანების" პრიორიტეტებზეც ისაუბრა.

"1-ელ ოქტომბერს "ქრისტიან-დემოკრატების" N10-ის შემოხაზვა იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში სამართლიანი ტარიფები დამკვიდრდება და ქართული ენერგეტიკა ქართველი ხალხის სამსახურში ჩადგება," - აცხადებს გიორგი თარგამაძე და ამომრჩევლებს ჰპირდება, რომ, "ქრისტიან-დემოკრატების" გამარჯვების შემთხვევაში, სახელმწიფო მთლიანად გამოისყიდის "თელასისა" და "ენერგო-პრო ჯორჯიას" აქციებს და კომპანიები მთლიანად ხალხის სამსახურში გადავა. ამ მიზნით, როგორც თარგამაძე ამბობს, მილიარდი ლარი გამოიყოფა. იგი ამომრჩეველს ბუნებრივი აირის ტარიფის შემცირების პირობასაც აძლევს.

გიორგი თარგამაძე მოქალაქეებს სოფლის მეურნეობის აღორძინების იმედსაც აძლევს. რაც შეეხება განათლების სფეროს, მისი თქმით, მასწავლებლის მინიმალური ხელფასი 900 ლარი იქნება.

თარგამაძემ სიტყვით გამოსვლაში "ნაციონალური მოძრაობისა" და "ქართული ოცნების" მსგავსების შესახებაც ისაუბრა. მისი აზრით, პირველი ოქტომბერი გადამწყვეტი ტესტია - შეძლებს თუ არა საზოგადოება დემოკრატიის მშენებლობის 20 წლისთავზე სწორი არჩევანის გაკეთებას? **"დღეს საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში ორი პოლიტიკური ძალა დომინირებს, მათ შორის ძალიან ცოტა განსხვავება და ბევრი მსგავსებაა,** - ამბობს გიორგი თარგამაძე, - **ერთი ძალაუფლების შენარჩუნებას ცდილობს, მეორე - მოპოვებას."** თარგამაძის მტკიცებით, ეს ძალები იდეოლოგიური ტყუპისცალები არიან და მათ თვისობრივადაც ბევრი მსგავსება აქვთ. **"თუ დააკვირდებით ამ ორი ძალის ლიდერებს, ერთისთვის მისაღებია სიტყვა "ჩარეცხვა", ხოლო მეორესთვის მისაღები ის ადამიანია, რომელიც მონურ მორჩილებას აღუთქვამს. ამიტომ ნათელია, რომ პირველ ოქტომბერს საზოგადოებამ არჩევანი "ქრისტიან-დემოკრატების" სასარგებლოდ უნდა გააკეთოს,"** - აცხადებს "ქრისტიან-დემოკრატების" ლიდერი.

სააპელაციომ ჭარიმა ძალაში დატოვა

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, უცვლელი დარჩა ქვედა ინსტანციის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, "ქართულ ოცნებაში" შემოწირულობის განხორციელებისთვის 16 პირი დაჯარიმდა.

"ქართულ ოცნებაში" უკანონო შემოწირულობის განხორციელებისთვის, "ქართუ ბანკის" 8 თანამშრომელი, მათ შორის "ქართუ ბანკის" პრეზიდენტი ნოდარ ჯავახიშვილი და კოალიცია "ქართული ოცნების" 8 წევრი, გადარიცხული თანხის ხუთმაგი ოდენობით დაჯარიმდა.

სააპელაციო სასამართლოში პროცესი ერთდროულად სამ სხვადასხვა დარბაზში მიმდინარეობდა. სხდომებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენლები და თავად დაჯარიმებულები ესწრებოდნენ. მოსამართლეებმა მხარეების არგუმენტები მოისმინეს, რის შემდეგაც, რამდენიმე წუთში, გადაწყვეტილება გამოცხადდა. დაჯარიმებულების ინტერესების დამცველები სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებასაც უკანონოს უწოდებენ და აცხადებენ, რომ მოსამართლეებმა დაცვის მხარის უტყუარი მტკიცებულებები არ გაითვალისწინეს.

გუშინვე, თბილისის სააპელაციო სასამართლომ, ასევე, ძალაში დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, "ქართული ოცნების" ლიდერი ბიძინა ივანიშვილი 20 243 827 ლარით, კოალიციის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი კახა კალაძე კი 16 944 960 ლარით დაჯარიმდა.

კალაძე და ივანიშვილი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ოქმის საფუძველზე დაჯარიმდნენ. სახელმწიფო აუდიტის სამსახური მათგან საკუთარი საბანკო ანგარიშიდან, დანიშნულების მითითების გარეშე გატანილი თანხის უკან დაბრუნებას ითხოვდა, რაც ივანიშვილმა და კალაძემ არ დააკმაყოფილეს, შესაბამისად ისინი გატანილი ნაღდი ფულის ხუთმაგი ოდენობით დაჯარიმდნენ.

აფხაზეთის ომიდან 20 წელი გავიდა

პირველი გვერდიდან

"ყველა დაღუპულს პატივი უნდა მივაგოთ. ყველა დედამ, რომელსაც აფხაზეთში შვილი მოუკვდა, თავის დაღუპულ შვილებს პატივი უნდა მიაგოს. მე ცოცხალი არ უნდა ვიყო, მაგრამ ბედისწერით ასე მოხდა," - განაცხადა ნაირა კალანდიამ.

ის საქართველოს მთავრობას მიმართავს, დაეხმარონ შვილის გადმოსვენებაში, რომელიც გულრიფშის რაიონის სოფელ ვარჩშია დაკრძალული.

"აფხაზეთში ერთ მეგობარსაც მივმართე, რომ ჩემი შვილი ჩამოასვენონ. ჯერჯერობით არ მინდა, ჩემი მეგობრის სახელი და გვარი გავამჟღავნო. ვერ ვძლებ ჩემი შვილის გარეშე. მინდა, ჩემს შვილს მოვეფერო და მოვეხვიო. ძალიან უბედური დედა ვარ, რადგან ჩემი 17 წლის შვილი ჩემ თვალწინ მოკლეს," - ამბობს ნაირა კალანდია.

სამხედრო დაპირისპირება აფხაზეთში 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო. ომი 13 თვეს და 13 დღეს გაგრძელდა და 1993 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემით და საქართველოს შეიარაღებული ძალების მარცხით დასრულდა. აფხაზურ-რუსულმა შენაერთებმა მდინარე ენგურის გასწვრივ პოზიციები 1993 წლის 30 სექტემბერს დაიკავეს. აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ხელისუფლება ყოველი წლის 30 სექტემბერს "საქართველოზე გამარჯვებისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის დღეს" აღნიშნავს.

ჯერაც დაუზუსტებელი მონაცემებით, აფხაზეთში 1992-93 წლებში მიმდინარე სამხედრო დაპირისპირებისას ქართული მხრიდან 10 ათასზე მეტი ჯარისკაცი და მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა. 300 ათასი ადამიანი კი აფხაზეთიდან დევნილად იქცა.

დავით ბაქრაძემ "ნაციონალების" კანდიდატები წარადგინა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ გუშინ მარნეულში, ფერმერთა მომსახურების ცენტრში საპარლამენტო არჩევნებში "ნაციონალური მოძრაობის" გარდაბნის, მარნეულისა და წალკის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები წარადგინა.

"ნაციონალური მოძრაობიდან" გარდაბანში კენჭს იყრის გიორგი ფეიქრიშვილი, მარნეულში - აზერ სულეიმანოვი, ხოლო წალკაში - რევაზ შავლოხაშვილი.

გარდაბნის მაჟორიტარობის კანდიდატი გიორგი ფეიქრიშვილი დღემდე გარდაბნის საკრებულოს თავმჯდომარე იყო. აზერ სულეიმანოვი კი მარნეულში უკვე მეორედ იყრის კენჭს - ის ამ მოწვევის პარლამენტში სწორედ გარდაბნის მაჟორიტარი იყო. რევაზ შავლოხაშვილი წალკის მუნიციპალიტეტის გამგებლად მუშაობდა.

კანდიდატების წარდგენამდე დავით ბაქრაძემ მარნეულის ფერმერთა მომსახურების ცენტრი და ლაბორატორია დაათვალიერა. როგორც მან განაცხადა, ტრადიციულად ეს კუთხე, ქვემო ქართლი წარმოადგენს საქართველოს ბეღელსა და ერთ-ერთი რეგიონს, სადაც სოფლის მეურნეობა ყველაზე მეტად არის განვითარებული. მისი თქმით, მნიშვნელოვანია, რომ მაჟორიტარობის კანდიდატებმა, სხვა ამოცანებთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება სოფელსა და სოფლის მეურნეობის განვითარებას დაუთმონ.

ბეთქილ შუკვანი საერთაშორისო სასამართლოში ჩივილს აპირებს

ძიუდოისტი ბეთქილ შუკვანი ლონდონში დაბრუნდა და საერთაშორისო სასამართლოში ჩივილს აპირებს.

"სამწუხაროდ, არაჯანსაღმა ქართულმა პოლიტიკამ სპორტშიც შეაღწია. მე მისი ერთ-ერთი მსხვერპლი ვარ. საზოგადოებამ კარგად იცის ლონდონის ოლიმპიადის მსვლელობისას ჩემს თავს გადახდენილი ისტორია. თუმცა, ის უმსგავსობა, რაც დღეს ქართულ სპორტში ტრიალებს, მხოლოდ ჩემი ამბით არ შემოიფარგლება. მე ახლა კვლავ ვიმყოფები ლონდონში, გავდივარ იურიდიულ კონსულტაციებს და ვაპირებ, საერთაშორისო სასამართლოს მივმართო. მე ბოლომდე ვიბრძოლებ სიმართლისთვის, გამოვაშკარავებ იმ მძიმე რეალობას, რაც დღეს ქართულ სპორტში არსებობს და ქართულ საზოგადოებას დროულად შევატყობინებ პროცესის მსვლელობის შესახებ," - აღნიშნულია ბეთქილ შუკვანის განცხადებაში.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ნამგალაურის თქმით, შუკვანის ბრალდებები მტკნარი სიცრუეა და ძიუდოისტმა ამ ბრალდებებით მთელ დელეგაციას ჩირქი მოეცხო.

"ქართული ოცნება" რუსთავში აქციის ადგილს არ ცვლის

რუსთავში "ქართული ოცნება" 19 აგვისტოს აქციას ჟიული შარტავას მოედანზე გამართავს, - ეს გადაწყვეტილება "ქართული ოცნების" წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ გუშინ რუსთავის მერიის წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე დააფიქსირეს.

მერიის პრესსამსახურის უფროსმა ნინო კორძაიამ "ქართული ოცნების" რუსთავის ორგანიზაციის ახალგაზრდული ფრთის ხელმძღვანელ ვახტანგ ყაველაშვილსა და იურისტ თამაზ ჯალიაშვილს კიდევ ერთხელ შესთავაზა, აქცია "მეგობრობის მოედანზე" გამართონ. როგორ კორძაიამ განაცხადა, მერია მზად არის, 2 დღის განმავლობაში მოედანზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები და მემორიალის სამშენებლო სამუშაოები შეაჩეროს და მოედანი აქციისთვის "ქართული ოცნების" წარმომადგენლებს დაუთმოს.

მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ "ქართული ოცნება" პირველი განცხადებით მერიას აცნობებდა, რომ აქციის გამართვა "მეგობრობის მოედანზე" სურდათ, დღეს პოზიცია შეიცვალეს და აქციის გასამართ ადგილად ჟიული შარტავას მოედანს ასახელებენ.

"ქართული ოცნების" რუსთავის ოფისის იურისტი თამაზ ჯალიაშვილი აცხადებს, რომ მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დაწყებული აქვთ და აქციის გამართვის ადგილს აღარ შეიცვლიან.

"ლეიბორისტები" დიპლომატიური კორპუსისგან რეაგირებას სთხოვენ

"ლეიბორისტები" მცხეთა-მთიანეთის რეგიონში არსებულ ვითარებაზე რეაგირებას საერთაშორისო ორგანიზაციებსა და დიპლომატიურ კორპუსს სთხოვენ. როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე "ლეიბორისტული პარტიის" აღმასრულებელმა მდივანმა პაატა ჯიბლაძემ განაცხადა, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში "ლეიბორისტული პარტიის" მხარდამჭერებზე ზეწოლა ხორციელდება.

"მცხეთა-მთიანეთის რეგიონი გადაქცეულია საკონცენტრაციო ბანაკად, სადაც ბობოქრობს კრიმინალ-გუბერნატორი ჩოჩელი, ხოლო რეგიონს ზედამხედველობს უშიშროებიდან მოყვანილი მკვლელი-მანიაკი, საკუთარი რაიონიდან გამოგდებული ვინმე ოტიაშვილი. მათი დავალებით, "ლეიბორისტული პარტიის" აქტივისტებსა და მხარდამჭერებზე დაიწყო უპრეცედენტო ტერორისა და შანტაჟის ახალი ტალღა, რათა აიძულონ ისინი, საერთოდ უარი თქვან კომისიებში საქმიანობაზე. მივმართავთ საქართველოში აკრედიტებულ საერთაშორისო სადამკვირვებლო წარმომადგენლობით მისიებსა და საელჩოებს, მოახდინონ ზეწოლა დიქტატორ სააკაშვილზე, რათა დაუყოვნებლივ იქნეს გადაყენებული მოძალადე და არჩევნების გამყალბებელი ჩოჩელი თავისი კრიმინალური ბანდით, წინააღმდეგ შემთხვევაში, დამდგარ მძიმე შედეგებზე მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრება არა მარტო სააკაშვილის ხელისუფლებას, არამედ მათ მფარველებს საერთაშორისო დამკვირვებლების სახით," - განაცხადა პაატა ჯიბლაძემ.

ტაჯიკეთში უშიშროების გენერლის მკვლელები დაკავეს

ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უშიშროების მაღალჩინოსნებმა ოფიციალურად დაადასტურეს, რომ დაპატიმრებულია ერთ-ერთი ყოფილი საველე მეთაური და სასაზღვრო რაზმის მეთაურის ან უკვე ყოფილი მოადგილე ტოლიბეკ აიემბეკოვი რამდენიმე თანამზრახველთან ერთად. მას ხელისუფლება უშიშროების გენერლის, მთიანი ბადახშანის ავტონომიური ოლქის უშიშროების სამმართველოს უფროსის აბდულო ნაზაროვის მკვლელობას აბრალებს. სწორედ აიემბეკოვისა და სხვა დამნაშავე ყოფილი საველე მეთაურების დასაპატიმრებლად დაიწყო მთიან ბადახშანში 24 ივლისს მასშტაბური საარმიო სპეცოპერაცია, რომელსაც ორივე მხრიდან ათობით ადამიანი შეეწირა, ასევე მშვიდობიან მოსახლეობას შორის (ამ ინციდენტისა და ანტიტერორისტული ოპერაციის შესახებ დაწვრილებით წერდა "24 საათი"). ცნობილია, რომ აიემბეკოვი დაჭრილია და მას გუშინ საოლქო საავადმყოფოში ოპერაცია გაუკეთეს. ის გაძლიერებული დაცვის პირობებში იმყოფება. ზოგიერთი მონაცემებით, ის სამართალდამცავებს თვითონ ჩაბარდა, შეიძლება იმიტომაც, რომ დაჭრილი იყო. არადა, ორი კვირის წინ ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ აიემბეკოვი ავღანეთში მიიმალა.

მთიანი ბადახშანის მოსახლეობა რეგიონიდან ჯარების სრულ გაყვანას და პოზიციებიდან სნაიპერების მოხსნას მოითხოვს. ხელისუფლება კი, პირიქით, მთიანი ბადახშანის ავტონომიურ ოლქში, ამ პრობლემური ზონის უკეთესად გასაკონტროლებლად ჯარის დატოვებას აპირებს.

"დათვების დესანტის" ორგანიზატორები ბელარუსის უშიშროებას "სკაიპით" დაუკავშირდებიან

გახმაურებული აქციის "პლუშის დესანტის" ორგანიზატორებმა პერ კრომველმა, ტომას მაზეტიმ და ჰანე ლინე ფრეიმ ბელარუსის უშიშროების კომიტეტისგან მიიღეს უწყებები, რომელიც მათ 10 დღის ვადაში მინსკში ჩასვლას და უშიშროების კომიტეტში დაკითხვაზე მისვლას "ავალდებულებს". შვედებმა პატარა კერძო თვითმფრინავით დაარღვიეს ბელარუსის საჰაერო საზღვარი და მინსკში, აგრეთვე, კიდევ ერთ სასაზღვრო ქალაქში ჩამოყარეს რბილი სათამაშო დათვები ზედ მიმაგრებული პროკლამაციებით სიტყვის თავისუფლებისა და ადამიანის უფლებათა მხარდასაჭერად (ამ აქციისა და ოფიციალური მინსკის რეაქციაზე ჩვენ დაწვრილებით ვწერდით). უწყებების მიღება დაადასტურა "სტუდიო-ტოტალის" ხელმძღვანელმა პერ კრომველმა და მანვე დასძინა, რომ ისინი ბელარუსის "კა-გე-ბე"-სთან ურთიერთობისთვის მზად არიან, ოღონდ ჯერ - "სკაიპით". ისინი აქამდეც აცხადებდნენ, რომ თანახმა არიან მინსკში ჩასვლაზეც, ოღონდ იმუნიტეტის მიცემის შემთხვევაში. ბელარუსის სპეცსამსახურები მათ მხოლოდ "უფლებების დაცვას" შეჰპირდნენ.

პარალელურად, ამ საქმეში გარკვევას ცდილობს ლიტვის საპარლამენტო კომისია. ლიტვას და შვედეთს ბელარუსის პროკურატურამ გამოძიებაში სამართლებრივი დახმარების გაწევის თხოვნით უკვე ოფიციალურად მიმართა (თვითმფრინავი ბელარუსში ლიტვიდან შეფრინდა). ამ კომისიას უკვე აქვს მონაცემები შესაბამისი უწყებებისგან და სხდომის გამართვა საზღვრის უკანონოდ დარღვევის ფაქტის თაობაზე მალე იგეგმება. ლიტვის თავდაცვის მინისტრმა, ქალბატონმა რასა იუკნიავიჩენემ 9 აგვისტოს განაცხადა, რომ ლიტვას ბელარუსში მომხდარი ინციდენტის შესახებ ინფორმაცია არ აქვს, ხოლო ბელარუსის სამართალდამცავების თხოვნას კანონის შესაბამისად განიხილავენ. ლიტვის სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის დირექტორის მოადგილემ ალვიდას შუმსკასმა კი განაცხადა, რომ შვედი პილოტების მიმართ შეიძლება ადმინისტრაციული გამოძიება დაიწყოს.

ტეხასში სროლას 3 ადამიანი შეეწირა

ტეხასში, სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის (Texas A&M) საერთო საცხოვრებელში ატეხილ სროლას სამი ადამიანი შეეწირა, კიდევ ოთხი კი დაჭრილია. დაღუპულია ერთი პოლიციელი, შემთხვევითი გამვლელი და თვით დამნაშავე, ვინმე ტომას კეფოლი. ის მძიმედ დაჭრილი დააპატიმრეს და მიყენებული ჭრილობებისგან საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. დაჭრილებიდან სამი პოლიციელია. კიდევ ერთი ასევე შემთხვევითი მსხვერპლი ქალია. ამ უკანასკნელის მდგომარეობა ყველაზე მძიმეა, მას სასწრაფო ქირურგიული ოპერაცია დასჭირდა. პოლიციელებიდან ერთი ფეხშია დაჭრილი, ერთს იმდენად მსუბუქი ჭრილობა აქვს, რომ კლინიკაში მოთავსება არ დასჭირდა. სავარაუდოდ, პოლიციელები ცდილობდნენ, დამნაშავისთვის გადაეცათ უწყება გამოსახლების თაობაზე. უცნობია, კეფოლი იყო თუ არა უნივერსიტეტის მსმენელი. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ სროლის ატეხვისთანავე ხმის გამაძლიერებლებით გააფრთხილა სტუდენტებიც და ლექტორებიც, შორს დაეჭირათ თავი სახიფათო ადგილისგან. სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტში დაახლოებით 50 ათასი მსმენელია, თუმცა მათი უმრავლესობა აგვისტოში არდადეგებზე იმყოფებოდა.

მოამზადა ივა შილაკაძემ

სირიის ფარული გარიგებები

პირველი გვერდიდან

ასადთან თანამშრომლობაში "გაზპრომბანკს" ადანაშაულებენ

საგაზეთო სტატიის თანახმად, ერთ-ერთ ბანკს "პუტინის მეგობარი" ხელმძღვანელობს. როგორც ამერიკულმა მედიამ გაარკვია, სირიის რეჟიმს რუსული, კერძოდ კი, "გაზპრომის," ბანკების იმედი ჰქონდა და ვარაუდობდა, რომ ევროპული სანქციების პირობებში ფინანსური ოპერაციებისა და სანავთობო გარიგებების დანაკარგი არ ექნებოდა.

თუმცა, რუსული მხარე ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს. "გაზპრომბანკი" და "ნოვიკომბანკი" არ ადასტურებენ, რომ მათი მეშვეობით ხდებოდა სირიული კომპანიების ოპერაციების წარმოება. "უოლ სტრიტ ჯორნალის" რედაქციას ხელში ჩაუვარდა დოკუმენტაცია და სირიის ხელისუფლების რუსულ კომპანიებთან მიმოწერა, სადაც იორდანიაში გაქცეული სირიის ყოფილი პრემიერ-მინისტრის რიად ჰიჯაბის სახელიც ფიგურირებს. საიდუმლო კორესპონდენცია დათარიღებულია მიმდინარე წლის მარტიდან ივლისამდე პერიოდით. ცალმხრივი სანქციები ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროპამ ასადის რეჟიმს გასული წლის აგვისტოდან დაუწესა, რომლის უმთავრესი სამიზნე სირიის ეკონომიკის საფინანსო და სანავთობო სექტორია. სწორედ, ამ ღონისძიებების გამო დაკარგა ოფიციალურმა დამასკომ მომხმარებლები ევროპაში, კონკრეტულად კი, იტალიის, გერმანიისა და ესპანეთის სახით. 2012 წელს კი სანქციები კიდევ უფრო გამკაცრდა, გაფართოვდა იმ პირებისა და კომპანიების სია, რომლებიც აკრძალვებს უნდა დაქვემდებარებოდნენ. თუმცა, ერთიცაა, ხისტი ღონისძიებები არ ეხებოდა არც რუსულ და არც სხვა კომპანიებს, რომლებიც ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების ბაზარზე არ მუშაობდნენ. 2012 წელს სირიის სახელმწიფო ნავთობმომპოვებელმა კომპანია "სიტროლმა" 11 ხელშეკრულება გააფორმა ნავთობის გაყიდვაზე და ანგოლის სახელმწიფო კომპანია "სონანგოლისთვის" დიზელის საწვავის მიწოდებაზე. მართალია, დიზელის ტიპის საწვავი ქვეყანაში არ იწარმოება, მაგრამ გამოიყენება სამხედრო და საწარმოო საჭიროებებისთვის, - ნათქვამია "სიტროლისა" და სირიის ხელისუფლების წარმომადგენლების 1 ივლისით დათარიღებულ წერილში. წერილის ავტორები მოითხოვდნენ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანას, კერძოდ, ოფშორული კომპანიების გახსნის ნებართვას და მათი მეშვეობით ბიზნესის წარმოებას. "ოფშორული კომპანიები იქმნება რუსეთსა და მალაიზიაში, რუსეთში კი იხსნება ევროსა და რუბლის ანგარიშები, ყველაფერი მომზადდება 2012 წლის 5 ივლისისთვის... მაშინ შევძლებთ იმპორტის თანხის გადახდას და ნავთობის ექსპორტისთვის ფულის მიღებას, ხოლო ყველა დაინტერესებული მხარე კონფიდენციალობისთვის აუცილებელ ზომებს მიიღებს, რათა ოპერაციები არ გახდეს თვალსაჩინო ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატებისთვის და მათ არ გაამკაცრონ სანქციები ამ კომპანიების საგანგებო სიაში შეტანით," - ნათქვამია "უოლ სტრიტ ჯორნალის" მიერ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში. თუმცა, გაზეთი იმასაც აღნიშნავს, რომ არაფერია ცნობილი, მოხდა თუ არა შეთანხმების ძალაში შესვლა და მისი განხორციელება.

სირიაზე მსოფლიოში ნავთობის მოპოვების წილის მხოლოდ 1 პროცენტი მოდის, რაც დღეში 360 ათას ბარელს შეადგენს. საკუთარი ბაზრის დაკმაყოფილების გამოკლებით კი საექსპორტოდ დღე-ღამეში მხოლოდ 150 ათასი ბარელი ნავთობი რჩება. მიმოწერიდან ისიც ირკვევა, რომ სირია მზადაა, ბრენტის ტიპის ნავთობი 10-15 დოლარის ფასდაკლებითაც გაყიდოს. ნედლეულის მიწოდებას სირიისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს მისი უკანასკნელი წყაროა, მიიღოს უცხოური ვალუტა პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის მთავრობისთვის. "უოლ სტრიტ ჯორნალის" დათვლით, ეს წლიურად დაახლოებით 380 მილიონ დოლარს შეადგენს. გამოცემის თანახმად, ამ სამხილებზე დაყრდნობით უკვე გასაგებია, რატომ არის არაეფექტური დასავლური სანქციები. ასადის რეჟიმზე ზეწოლას შედეგები მანამდე ვერ ექნება, ვიდრე მოსკოვთან დამასკოს მჭიდრო დიპლომატიური და ეკონომიკური კავშირები არ გაწყდება.

თავად სირიაში კი ძალადობა და შეიარაღებული დაპირისპირება კვლავ გრძელდება. სამთავრობო ძალების იერიში ამბოხებულთა პოზიციების წინააღმდეგ ამ დრომდე არ არის დასრულებული. «სირიის თავისუფალი არმია" კი ხელისუფლების კუთვნილი სამხედრო თვითმფრინავის ჩამოგდებაზე ავრცელებს ინფორმაციას, რასაც ასადის რეჟიმი უარყოფს. "ბი-ბი-სი"-ს თანახმად, ამბოხებულებმა თვითმფრინავი ერაყის საზღვართან ახლოს ჩამოაგდეს, ამის დამადასტურებლად ამბოხებულებმა "იუთუბში" ჰაერშივე აალებული თვითმფრინავის კადრებიც განათავსეს. ასადის მოწინააღმდეგეთა ბანაკში ირწმუნებიან, რომ მათ მფრინავის დაკავება შეძლეს, მაგრამ ეს ინფორმაცია დამოუკიდებელი წყაროების მხრიდან ჯერჯერობით არ დასტურდება. სირიის ხელისუფლება კი თვითმფრინავის აალების კადრებს სხვა მიზეზით ხსნის, კერძოდ, ეს არა ამბოხებულთა მოქმედების შედეგია, არამედ უბრალოდ ტექნიკური გაუმართაობის ნაყოფი. დასავლელი სამხედრო ექსპერტების თქმით, ვიდეოკადრებში "მიგ-23" ტიპის თვითმფრინავის კატასტროფაა აღბეჭდილი, ფერი და წარწერები მოწმობს, რომ ის ნამდვილად იყო ბაშარ ალ-ასადის არმიის არსენალში.

რაც შეეხება სირიის სამეზობლო არეალს, თურქეთისა და ლიბანის შემდეგ სირიის სამოქალაქო ომში ჩართული აღმოჩნდა იორდანიაც, რომელიც ლტოლვილებს იფარებს და მათ უსაფრთხოებას იარაღით იცავს. უცნობი რჩება, როდის შედგება არაბულ სახელმწიფო ლიგის საგანგებო შეხვედრა, რომელიც გაურკვეველი ვადით გადაიდო.

ბრეივიკი პოლიციას უფრო ადრე უნდა გაეჩერებინა

პირველი გვერდიდან



ბრეივიკის სასამართლო პროცესი ივლისის ბოლოს დასრულდა, განაჩენი კი 24 აგვისტოს უნდა გამოუტანონ. სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, არის თუ არა ბრეივიკი საღ გონებაზე, რის შემდეგაც ცნობილი გახდება, ციხეში ჩასვამენ თუ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იძულებით უმკურნალებენ.

დამოუკიდებელი კომისიის მიერ ორშაბათს გამოქვეყნებულ მოხსენებაში ნათქვამია, რომ ბრეივიკის შეჩერება მანამ, სანამ ოსლოს სამთავრობო რაიონში აფეთქება მოხდებოდა, სრულიად შესაძლებელი იყო. ექსპერტებმა ასევე გააკრიტიკეს პოლიციის მოუქნელობა მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა კუნძულ უტოიაზე სროლის შესახებ.

კომისია, რომელსაც ადვოკატი ბეი იორვი ხელმძღვანელობს, მივიდა დასკვნამდე, რომ ოსლოში მომხდარი აფეთქებისთვის ხელის შეშლა შესაძლებელი იყო იმ შემთხვევაში, თუ უკვე არსებულ უსაფრთხოების ზომებს უფრო ეფექტურად გამოიყენებდნენ. სხვა საკითხებთან ერთად, კომისია სვამს კითხვას: რატომ არ იყო დაკეტილი საგზაო მოძრაობა იმ ქუჩაზე, სადაც პრემიერ-მინისტრის კანცელარია მდებარეობს, როგორც ეს იყო რეკომენდებული შვიდი წლის წინ. მოხსენებაში ასევე ნათქვამია, რომ ოსლოში აფეთქების შემდეგ 10 წუთში პოლიციაში დარეკა ადამიანმა და დეტალურად აღწერა მის მიერ დანახული პისტოლეტიანი კაცის გარეგნობა, რომელსაც დამცავი ფორმა ეცვა. პოლიციამ ამ ინფორმაციაზე რეაგირება მხოლოდ ორი საათის შემდეგ მოახდინა. თავიდანვე ნათელი იყო, რომ ოსლოში ტერაქტი მოხდა. მიუხედავად ამისა, განგაში ქვეყნის მასშტაბით მაინც არ გამოცხადდა. გზებზე არ იყო დაყენებული საკონტროლო გამშვები პუნქტები, არ იყო გამოყენებული ვერტმფრენები, ხოლო ოსლოს პოლიციამ უარი თქვა მეზობელი რაიონებისგან შეთავაზებულ დახმარებაზე. კომისიამ პოლიცია იმის გამოც გააკრიტიკა, რომ მის თანამშრომლებს კუნძულ უტოიამდე მისაღწევად 35 წუთი დასჭირდათ, რაც, ანგარიშის ავტორების განცხადებით, "მიუღებელია."

ინფორმაცია კუნძულზე სროლის შესახებ 22 ივლისს, ადგილობრივი დროით 17:25 წუთზე გავრცელდა. პირველი საპატრულო პოლიცია ტბის ნაპირებთან მხოლოდ ნახევარ საათში მივიდა, თუმცა პოლიციელებმა არც კი სცადეს, ეპოვნათ ნავი, რათა კუნძულზე გადასულიყვნენ. 14 წუთის შემდეგ მათთან სპეცრაზმ "დელტას" 11 წევრი მივიდა. მათი გასაბერი ნავი გაფუჭდა და ისინი იძულებულნი გახდნენ, ადგილობრივი მოსახლეობის ორი კატერი გამოეყენებინათ.

კომისია თავის ანგარიშში ნორვეგიის პოლიციისა და უსაფრთხოების სხვა სამსახურების ერთმანეთთან არასაკმარის თანამშრომლობას აკრიტიკებს. ჩნდება კითხვა: რატომ ვერ შეძლო კოტრდაზვერვამ, ბრეივიკი მანამ დაეკავებინა, სანამ ის დანაშაულს ჩაიდენდა. კომისიის ანგარიშში ისიც არის აღნიშნული, რომ მართალია, ნორვეგიის უსაფრთხოების სამსახურს შეეძლო, ბრეივიკის თავდასხმის შესახებ გაეგო, მაგრამ ის ამ თავდასხმას ვერ აღკვეთდა.

ნორვეგიის პრემიერ-მინისტრის იენს სტოლტენბერგის განცხადებით, მართალია, კომისიის ანგარიშს არ შეუძლია შეცვალოს მომხდარი, მაგრამ "ის მნიშვნელოვანია, რადგან გვაძლევს ფაქტებს და იმის გაგებას, თუ რა მოხდა." პრემიერმა პოლიციის უსუსურობის გამო ბოდიშიც მოიხადა.

2011 წლის 22 ივლისს მომხდარი სისხლიანი მოვლენები ნორვეგიაში აღიარეს, როგორც ყველაზე საშინელი ძალადობის აქტი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, რამაც ქვეყანაში გამოიწვია დებატები ტოლერანტობისა და დემოკრატიის შესახებ.

თავის მანიფესტში და სასამართლოზე გამოსვლის დროს ბრეივიკმა თავისი მოქმედებება გაამართლა და მას ნორვეგიის ისლამიზირების შეჩერების მცდელობა უწოდა.

ანდრეს ბრეივიკს, თავის მხრივ, მომხრეებიც გამოუჩნდნენ. ნორვეგიელმა პოლიტიკოსებმა და გაზეთების რედაქტორებმა მიიღეს წერილი ანდერის ბრეივიკის გამართლების და გათავისუფლების მოთხოვნით. ეს წერილები მათ მიიღეს 13 აგვისტოს, მას შემდეგ, რაც დამოუკიდებელმა კომისიამ მომხდარის მიზეზების შესახებ თავისი ანგარიში წარადგინა. წერილს ხელს აწერს "ტამპლიერთა ორდენის" მეთაურის მოადგილე". წერილი ელექტრონული ფოსტით დაიგზავნა. "მოვითხოვთ ჩვენი სარდლის განთავისუფლებას და მისი მოქმედებების აუცილებლობის აღიარებას ამ ომში," - ნათქვამია წერილში. ავტორი თავის "ეპისტოლეს" "გაფრთხილებას" უწოდებს და ზუსტად ისეთივე პირობებს აყენებს, როგორსაც თავად ბრეივიკი აყენებდა სასამართლო სხდომებზე. ამ მოთხოვნების არშესრულების შემთხვევაში ის ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების განადგურებით იმუქრება.

ნორვეგიის დაზვერვის სამსახურის წარმომადგენელმა ჟურნალისტებს ეს ფაქტი დაუდასტურა. მისი თქმით, დაიწყება გამოძიება, რადგანაც წერილი მუქარას და ტერორიზმისკენ მოწოდებას შეიცავს.

ჰადიშის პოზიტიური და ნეგატიური სიახლეები

პირველი გვერდიდან



მყინვარების უკანდახევას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის გეოგრაფიის კათედრა ბოლო 12 წელია, რაც რეგულარულად აკვირდება და სტაბილურად ერთ შედეგს აღრიცხავს - 15 მეტრს. საქართველოში მყინვართა ენები ყოველწლიურად 15 მეტრით მოკლდება! რაც გლობალური დათბობის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია.

თსუ-ს გეოგრაფიული ექსპედიცია სვანეთიდან რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა, სადაც ოცამდე სხვადასხვა სიმძლავრის მყინვარი მოინახულეს - ხალდეს, შხარის, ჭუბერის, ნაკრის, დოლრის, უშბის, ჭალაათის, ლეხზირის, ჰადიშის და სხვა. ექსპედიციის თანახელმძღვანელის, პროფესორ გიორგი დვალაშვილის თქმით, უმრავლეს მათგანთან ახლოს მისვლაც შესაძლებელია და თუ 8 წლის წინ ბევრი მათგანი ხეობაში ჩამოდიოდა, წელს უკვე მწვერვალისკენაა აკრეფილი. იმ ადგილზე, სადაც მყინვარებმა დაიხვია, იცვლება გარემოც, ჩნდება მცენარეული საფარი და ხეებიც იზრდება.

მედალს ყოველთვის ორი მხარე აქვს, ერთი მხრივ, თავისუფალ ადგილზე ტყის გაჩენა დადებითადაც კი შეიძლება შეფასდეს. თუმცა კი, ქართველი გეოგრაფები მყინვართა უკანდახევის პროცესს ჯერჯერობით მშვიდად უყურებენ და უახლოეს ათწლეულებში საფრთხეს ვერაფერში ხედავენ.

"გვინდა, საზოგადოებას ვუთხრათ, რომ უახლოეს მომავალში კატაკლიზმები მოსალოდნელი არ არის. მყინვარების დნობას ჩამონადენის შემცირება მოჰყვება, მაგრამ ეს სასმელი წყლის იმ მასშტაბით შემცირებას არ გამოიწვევს, რომ მოსახლეობას პრობლემები შეექმნას. ბოლო 100 წელიწადში იქ, სადაც მყინვარებმა უკან დაიხია, ტყის საფარმაც მოიმატა, რასაც, თავის მხრივ, დადებითი შედეგებიც აქვს - ზვავების გავრცელების საშიშროებას ამცირებს. მყინვართა ენების ყოველწლიურად 15 მეტრით დამოკლებით იქამდე მივალთ, რომ ზოგიერთი მყინვარი საერთოდ გაქრება და მის ნაცვლად, შესაძლოა, ტბები წარმოიქმნას. ამის მაგალითი ტობავარჩხილის ტბებია სამეგრელოში. საუბარი იმ მყინვარებზეა, რომლებიც ხეობაში ჩამოდის, თორემ მწვერვალებზე, განსაკუთრებულ სიმაღლეზე, ცვლილებები არ შეინიშნება და არც უახლოეს მომავალშია მოსალოდნელი. შეგვიძლია, ჩვენი საზოგადოება დავამშვდოთ - მიუხედავად იმისა, რომ გვაქვს ცვლილებების დეტალური მონაცემები, სასმელი წყლის გარეშე დარჩენა არ გვემუქრება," - ამბობს გიორგი დვალაშვილი.

მყინვარების შემცირების მომსწრე იყო მოსახლეობა გასულ საუკუნეებში, მათი ენები მესტიამდე, ონსა და ყაზბეგამდე აღწევდა. ზოგჯერ მათი მოწყვეტა სოფლებსაც ანადგურებდა. ასე მოხდა, სავარაუდოდ, ჰადიშის თავზე მდებარე სოფელში. ადგილობრივების გადმოცემით, იმ ადგილას, სადაც ახლა ჰადიშის მყინვარის ენა მთავრდება, გაშენებული იყო სოფელი წვირმი. ერთ-ერთ ღამეს მყინვარი მოწყდა და მთელი სოფელი ჩაიტანა. ლეგენდის მიხედვით, გადარჩა მხოლოდ ერთი მოსახლე, რომელმაც სიზმრად ნახა ეს ტრაგედია, სოფელიც გააფრთხილა, მაგრამ არავინ დაუჯერა. მაშინ თვითონ, მარტოდმარტო გაეცალა და ჰადიშიდან მოშორებით, უღვირის ქედზე დასახლდა, იქ, სადაც ახლა სოფელი წვირმია. გეოგრაფიულად სოფლის არსებობა იმ ადგილებში დასტურდება, ხოლო ჰადიშიდან 5-6 კილომეტრში მდებარე წმინდა გიორგის ეკლესია, რომელიც გარე ფასადის მოხატულობითაც გამოირჩევა, სავარაუდოდ, სწორედ იმ, მყინვარისგან განადგურებული სოფლის სალოცავი უნდა ყოფილიყო. ეს 2300 მეტრზე მდებარე ეკლესია ყველაზე მაღალი სალოცავია საქართველოში. ჰადიშის მყინვარამდე მისვლა ვიზიტორებს სულ ადვილად შეუძლიათ და თუ წლების მანძილზე ეს სოფელი და მისი მყინვარი ტურისტების ყურადღების მიღმა იყო, ბოლო პერიოდში ტურისტულ რუკაზე კვლავ მოხვდა. წელს მულახი-ჰადიშის გზაზე უამრავი ვიზიტორი გამოჩნდა, რამაც პირდაპირპროპორციულად სოფლის გამოცოცხლება გამოიწვია. კომუნისტურ პერიოდში სოფელი პერმანენტულად იცლებოდა, ბოლოს აქედან მოსახლეობა 1987 წელს გადაასახლეს, ზვავების გამო. რამდენიმე წლის წინ ჰადიშში სამი ოჯახიღა იყო დარჩენილი. წელს იქ 14 ოჯახია და საოჯახო სასტუმროც გაჩნდა. ვიზიტორები ხალდეს ხეობით აქედან კალას თემში გადადიან და უშგულისკენ გზას ასე აგრძელებენ. მესტიის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით, წელს ჰადიშში 2 კოშკის აღდგენა-გამაგრება დაიწყო - ავალიანებისა და ქალდანების, რაც პირდაპირ სენსაციური მოვლენაა ამ სოფლისათვის.

საქართველოს მთიანეთში ტურისტული მარშრუტების პოპულარობას დიდად უწყობს ხელს ის სახალხო-საეკლესიო დღესასწაულები, რომლებიც აქ ზაფხულობით იმართება. ყოველ წელს, კვირიკობის მომდევნო ოთხშაბათს ჰადიშის ხეობაში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში ერთ-ერთი უდიდესი დღესასწაული - "ლიჩანიშობა" იმართება, რომელიც სულ უფრო მეტად ხალხმრავალი და პოპულარული ხდება სვანეთის სტუმრებს შორისაც.

და მაინც, ჰადიში, სილამაზით გამორჩეული მყინვარისა და სახალხო დღესასწაულის გარდა, თითოეული ჩვენგანის ხსოვნაში, პირველ რიგში, აქ ნაპოვნი სახარებით - ჰადიშის ოთხთავით ცოცხლობს, რომელიც 897 წელს შატბერდში გადაწერილი ხელნაწერია და უნიკალურია იმით, რომ ერთადერთი ნამდვილი ჰაემეტი ტექსტის ნიმუშს წარმოადგენს. თუმცა კი, მის სანახავად ისევ სვანეთს, მესტიის მუზეუმს უნდა ეწვიოთ.

თანამედროვე ხელოვნების ფესტივალი "ხელოვნების ზღვა"

ფოთის ზღვის სანაპიროზე მალთაყვის ტყე-პარკში ერთდროულად ხელოვნების რამდენიმე ახალი ობიექტი შეიქმნება... "თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების განვითარება სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია," - აცხადებს კულტურის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური და გვაცნობს, რომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, 15-31 აგვისტოს ფოთში ახალი ფესტივალი "ხელოვნების ზღვა" გაიმართება.

ხელოვნების პარკის სივრცე ყოველწლიურად ახალი ნამუშევრებით შეივსება. "შემოქმედებითი სივრცე - ღია ცის ქვეშ" საფუძველს ჩაუყრის ისეთი ლანდშაფტური გარემოს შექმნას, რომელიც გამორჩეული იქნება საგანგებოდ შექმნილი ახალი ნოვატორული ნამუშევრებით. "მალთაყვის ტყე-პარკი საერთაშორისო მასშტაბის შემოქმედებითი პლატფორმა გახდება, რომლის განვითარება ხანგრძლივი დროის განმავლობაში გაგრძელდება."

ფესტივალი "ხელოვნების ზღვა" ხელს შეუწყობს ქვეყნის რეგიონებში თანამედროვე ხელოვნების განვითარებას და, ამავდროულად, შექმნის დასვენებისა და შემეცნების უალტერნატივო გარემოს.

დღეს, 15 აგვისტოს, 12:00 საათზე მალთაყვის ტყე-პარკში თანამედროვე ხელოვნების ასოციაცია "Artactive Evolution" პრესკონფერენციას გამართავს და საზოგადოებას მალთაყვის ტყე-პარკის ახალი - ღია სახელოვნებო სივრცის კონცეფციას, ფესტივალ "ხელოვნების ზღვის" მიზნებს და იმ კონკრეტულ პროექტებს გააცნობს, რომლებსაც დამთვალიერებელი ფესტივალის საზეიმო დახურვაზე 1 სექტემბერს იხილავს.

ქართველი, ამერიკელი, ბრიტანელი, გერმანელი და იაპონელი მხატვრები ფოთის ზღვის სანაპიროზე, მალთაყვის ტყე-პარკში 2 კვირის განმავლობაში სხვადასხვა ინსტალაციებს, ობიექტებსა და ლანდშაფტური არქიტექტურის ინოვაციურ პროექტებს შექმნიან. ხელოვნების პარკი 1 სექტემბერს საზეიმოდ გაიხსნება. პროექტში მონაწილე მხატვრები არიან: ნიკო ცეცხლაძე (საქართველო), ილიკო ზაუტაშვილი (საქართველო), ლუკა ზეტ (საქართველო), დენის განაბოლინი (საქართველო), ანა სოფრომაძე (საქართველო), არჩილ თურმანიძე (საქართველო), გრიგოლ ღვანია (საქართველო), ბადრი ბახტაძე (საქართველო), ჯანიკო დანელია (საქართველო), თემო ჯავახიშვილი (საქართველო), გიორგი გაბუნია (საქართველო), გაბრიელ ადამს (აშშ), ჯუნიშირო იშიი (იაპონია), ალი ბრამველი (ახალი ზელანდია/დიდი ბრიტანეთი), გაბრიელა ფონ ჰაბსბურგი (გერმანია/საქართველო).

15 აგვისტო

აფიშა

კინო

"ტედი"

რეჟისორი: სეთ მაკფარლეინი
როლებში: მარკ უოლბერგი, მილა კუნისი, სეთ მაკფარლეინი, ჯოელ მაკჰეილი, ჯოვანი რიბიზი, პატრიკ ბარბერტონი
ჟანრი: კომედია, ფანტასტიკა
ხანგრძლივობა: 106 წთ
ამირანი - 13.15; 15.25; 17.35; 19.45;
რუსთაველი - 15.15; 17.30; 20.00; 22.30;

"ბეთმენი: შავი რაინდის აღზევება"

რეჟისორი: კრისტოფერ ნოლანი
როლებში: კრისტიან ბეილი, ტომ ჰარდი, ლიამ ნისონი, მორგან ფრიმანი
ჟანრი: მძაფრსიუჟეტიანი დრამა
ხანგრძლივობა: 165 წთ
გახმოვანება: რუსული
ამირანი - 12.30; 15.45; 19.30; 22.45
რუსთაველი - 12.00; 15.15; 19.00; 22.30

"ციდან სამ მეტრზე"

რეჟისორი: ფერნანდო გონსალეს მოლინა
როლებში: მარიო კასასი, მარია ვალვერდე, კლარა ლაგო, ალვარო სერვანტესი, ანდრეა დურო, ლუის ფერნანდესი
გახმოვანება: რუსული
რუსთაველი - 12.00; 22.54

"ადამიანი ობობა 3" - D3

რეჟისორი: მარკ უები
როლებში: ენდრიუ გარფილდი, ემა სტოუნი, რის ივანსი,
ემბეტ დევიდჩი, მარტინ შინი, სალი ფილდი
გახმოვანება: რუსული
ამირანი - 12.15
რუსთაველი - 14.00; 17.15

"ფიფქია და მონადირე"

რეჟისორი: რუპერტ სანდერსი
როლებში: კრისტენ სტიუარტი, კრის ჰემსუორტი, შარლიზ ტერონი, სემ კლაფლინი, სემ სპრუელი, იან მაკშეინი
გახმოვანება: რუსული
ამირანი - 15.45
რუსთაველი - 15.00; 20.00; 22.30

"რომის არდადეგები"
რეჟისორი: ვუდი ალენი
როლებში: ვუდი ალენი, პენელოპა კრუსი, ჯესი აიზენერგი, ალეკ ბოლდუინი, რობერტო ბენინი, ფლავიო პარენტი, ჯუდი დევისი
გახმოვანება: რუსული
ამირანი - 15.00; 20.15; 22.45

გალერეა

თიბისი გალერეა
მამია მალაზონიას პერსონალური გამოფენა

ეროვნული გალერეა

"პეტრე ოცხელი - რეტროსპექტივა"
გამოფენა ეძღვნება პეტრე ოცხელის დაბადებიდან 105 წლის იუბილეს

თორმეტი წლის შემდეგ, ფედერერთან ერთად

სპეციალისტები აქტიურად აანალიზებენ ფედერერის გამოსვლას მის მეოთხე ოლიმპიადაზე, აფასებენ მის თამაშს, მოგებებსა და მარცხს ფინალში და ვერც კი აცნობიერებენ, რომ მთავარი ჯილდო შვეიცარიელმა მოიპოვა თორმეტი წლის წინ, თავის პირველ ოლიმპიადაზე სიდნეიში.

როდესაც როჯერი კორტზე მორიგი ტიტულისთვის იბრძვის, ის აუღელვებლად ზის ტრიბუნაზე, VIP-ლოჟაში, საღეჭი რეზინის ღეჭვით და ემოციებს მხოლოდ მაშინ უხსნის გზას, როდესაც მისი საყვარელი მამაკაცი მორიგ გამარჯვებას აღწევს. ეს არის მირკა ფედერერი, ჩოგბურთის ისტორიაში შესაძლოა უდიდესი მოთამაშის მეუღლე.

როჯერ ფედერერის გენიოსობა უცილობელია. მისი თამაშის არისტოკრატიულმა სტილმა, საზოგადოებაში მოქცევის მშვიდმა, ქარიზმატულმა მანერამ, სასწაულებრივმა წარმატებებმა ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ შეუქმნეს შვეიცარიელს ლეგენდის შარავანდედი. რასაკვირველია, აქვე აღსანიშნავია კიდევ ერთი - თორმეტი წლის წინ როჯერმა გააკეთა სწორი არჩევანი.

მაშინ, სიდნეიში, როჯერი მიდიოდა იმედისმომცემი სპორტსმენის სტატუსით, თუმცა, მისგან არავინ მოითხოვდა მედლის მოპოვებას "აქ და ახლავე". შვეიცარიის საჩოგბურთო კერპი იყო მარტინა ჰინგისი, მაგრამ იმის გამო, რომ ტრავმირებული კერპი ვერ მონაწილეობდა შეჯიბრებაში, გარკვეული იმედი მყარდებოდა ფედერერზე. ახალგაზრდა შვეიცარიელმა თითქმის სრულად გაამართლა თანამემამულეთა მოლოდინი და ავიდა კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე. გაცილებით უფრო ნაკლები იყო ქალ ჩოგბურთელთა მიღწევები - ემანუელ გალიარდი მივიდა მეორე რაუნდამდე, ხოლო მირკა ვავრინეცი პირველივე წრეში გაანადგურა ელენა დემენტიევამ. თუმცა, ამ დროს როჯერმა უკვე გაიცნო მირკა. ოლიმპიადამ თავისი მთავარი დანიშნულება შეასრულა.

ცნობილია, რომ ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში მარია შარაპოვა, მაშინ მხოლოდ ნიჭიერი გოგონა, წააქეზა დიდმა მარტინა ნავრატილოვამ და ამით გზა დაულოცა დიდ ჩოგბურთში. ნაკლებადაა ცნობილი, რომ უფრო ადრე მან ასევე გარკვეული წვლილი შეიტანა ფედერერის ჩამოყალიბებაში(

მიროსლავა ვავრინეცი, უფრო ცნობილი შემოკლებული სახელით მირკა, დაიბადა ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ბოინიცეში 1978 წლის 1 აპრილს. რამდენიმე წელიწადში მისი მშობლები შვეიცარიაში გადავიდნენ საცხოვრებლად. ყველაფერი დაიწყო მაშინ, როცა ცხრა წლის მირკა მამას გაჰყვა WTA-ს ერთ-ერთ ტურნირზე, გერმანიის ქალაქ ფილდერშტადში. მიროსლავა ვავრინეცს სურდა ეხილა თავისი სახელგანთქმული თანამემამულის თამაში და აეღო ავტოგრაფი. მამა-შვილმა მოახერხა ნავრატილოვას ნახვა, რომელმაც ტანად და თავისი ასაკისთვის ფიზიკურად კარგად განვითარებულ გოგონას ურჩია, ჩოგბურთის თამაში დაეწყო. მეტიც, როცა გაიგო, რომ ოჯახიც, მისი ოჯახის მსგავსად, ჩეხოსლოვაკიიდან ემიგრირებულია, გოგონას ეკიპირებით დაეხმარა და მწვრთნელად თავისი ერთ-ერთი ნაცნობი შესთავაზა. როჯერს ძალიან უყვარს ეს ისტორია. ის აგონებს თაობათა ურთიერთკავშირს და იმას, რომ ცხოვრებაში ყველა ქმედებას ახლო ან შორეულ მომავალში მოაქვს თავისი შედეგი. შესაძლოა, ის უბრალოდ მადლიერია ნავრატილოვასი, რომ მისცა მას და მირკას შეხვედრის შესაძლებლობა.

სიდნეის ოლიმპიურ სოფელში როჯერი და მიროსლავა დიდ დროს ერთად ატარებდნენ. ვარჯიშის დროს გოგონამ რამდენჯერმე გაუწია ფედერერს სპარინგობა. მაგრამ მთავარი ისაა, რომ როჯერისთვის საინტერესო იყო მასთან ურთიერთობა. "არც კი ვიცი, რატომ უნდოდა მას მუდამ ჩემთან ყოფნა, - იხსენებდა მირკა წლების მერე, - ოლიმპიადის დასრულებისას კი მაკოცა."

რამდენიმე წელი შეყვარებულთა ურთიერთობა ვითარდებოდა ჩოგბურთში ჩამოყალიბებული "სცენარით" - როჯერი და მირკა პერიოდულად ხვდებოდნენ ერთმანეთს ტურნირებზე და ერთად ატარებდნენ შვებულების ხანმოკლე პერიოდებს. მერე კი მოხდა უსიამოვნება - მირკამ სერიოზულად დაიზიანა ფეხი. აღდგენის პროცესი გაგრძელდა და როჯერი, რითაც შეეძლო, ეხმარებოდა შეყვარებულს, მორალურად ამხნევებდა. ამავე დროს არ ივიწყებდა თავის კარიერას. 2003 წელს მის თამაშს დაეტყო მკვეთრი აღმასვლა. როჯერმა პირველად მოიგო უიმბლდონი და მირკამ მიიღო მძიმე, მაგრამ დასაბუთებული გადაწყვეტილება - დაესრულებინა კარიერა და მთელი ენერგია დაეხარჯა საყვარელი ადამიანის დახმარებაში. ამ მომენტიდან იწყება ყველასთვის ცნობილი მირკა და, სიმართლე რომ ითქვას, ის ფედერერიც, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ.

2003 წლამდე მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელს არ ჰყავდა პირადი მენეჯერი, რომელიც მის საქმეებს მიადევნებდა თვალყურს. მირკამ იტვირთა ეს მძიმე საქმე და საშუალება მისცა როჯერს, მთლიანად გადართულიყო თამაშზე. "რამდენიმე წელი მე თვითონ ვიყავი პროფესიონალი ჩოგბურთელი და მშვენივრად ვიცი, რაოდენ მნიშვნელოვანია საიმედო ზურგი. - აღიარებს მირკა, - შევეცადე, ზუსტად ეს უზრუნველმეყო როჯერისთვის."

რამდენიმე წელიწადში შვეიცარელმა განიმტკიცა პლანეტის უძლერესი ჩოგბურთელის სახელი, ხოლო მისი შეყვარებული გახდა დიდი ტურნირების მუდმივი სტუმარი. რამდენი ხანიც უნდა გაგრძელებულიყო მატჩი როჯერის მონაწილეობით, მირკა ფეხმოუცვლელად იჯდა ტრიბუნაზე. ზოგჯერ ფედერერი სარგებლობდა მისი დახმარებით საჩოგბურთო ტაქტიკის საკითხებშიც კი. ბრედ ჰილბერტმა, ამერიკელი ენდი როდიკის მწვრთნელმა, უიმბლდონ 2004-ზე მოგვიანებით აღიარა: "ფინალური შეხვედრისას, წვიმით გამოწვეული შესვენების დროს, მირკასთან მე პირწმინდად დავმარცხდი."

დროთა განმავლობაში ფედერერის დომინირებას მეტ-ნაკლებად შეეგუა ყველა, მისი მცირერიცხოვანი არაკეთილისმსურველებიც, მაგრამ მისი შეყვარებული პერიოდულად იწვევდა ცალკეული ქომაგებისა და ჩოგბურთის ექსპერტების გაღიზიანებას. საქმე იქამდეც კი მიდიოდა, რომ როჯერს "ქალის კალთას ამოფარებულს" ეძახდნენ. ყველაზე მეტის უფლება თავს მისცა ავსტრალიელმა პეტ კეშმა, უიმბლდონი 1987-ის ჩემპიონმა, რომელიც ცნობილია თავისი კუბოკრული ბენდენათი და მოსწრებული სიტყვა-პასუხით. ერთხელ მან თქვა, რომ მიროსლავას "ჭეშმარიტად ჰიპნოზური გავლენა აქვს როჯერზე" და ჩოგბურთელს ურჩია, უფრო ხისტი ყოფილიყო ყოფით საკითხებში. ფედერერმა კომენტარისგან თავი შეიკავა. უპასუხა თვითონ მირკამ. ერთ-ერთ ინტერვიუში ქალიშვილმა ისეთი გესლიანი პასუხი გასცა, რომ კეშმა ხმა ვეღარ ამოიღო. მირკამ ზრდილობიანად, მაგრამ მტკიცედ ურჩია პეტს, არ დაინტერესდეს სხვისი საქმეებით, მით უფრო ჩოგბურთელის, რომელმაც კარიერაში განუზომლად მეტს მიაღწია.

მას შემდეგ შვიდი წელი გავიდა, მაგრამ მეტს არავის გასჩენია პრეტენზია საყვარელ ადამიანზე მირკას გავლენის გამო. თუმცა, კეში ნაწილობრივ მართალიც რომ ყოფილიყო, რა არის დასაძრახი იმაში, რომ ადამიანი რჩევას ეკითხება თავის შეყვარებულს? ყველა ხალხის ზღაპრებში პოპულარულია სიუჟეტი, როდესაც მთავარ გმირს გაჭირვებისას მხსნელად მოევლინება დედა, ცოლი, ქალიშვილი ან შეყვარებული.

"მე შეჩვეული ვარ, ყველა საკითხზე მოვეთათბირო მირკას, - აღიარებს ფედერერი, - ერთხელ, ბაზელის ტურნირის წინ, მე მას ვუთხარი: «მინდა აქ წყვილებშიც ვითამაშო. რას იტყვი?» მირკამ მიპასუხა: «ითამაშე, მე რატომ მეკითხები?» ხომ ვამბობ, ეს უკვე ჩვევაა("

ფედერერი ნამდვილად უბედნიერესი ადამიანია. მას შეუძლია მთლიანად დაკავებული იყოს საყვარელი საქმით, რადგან იცის, რომ მისი ზურგის უსაფრთხოება გარანტირებულია. - მშობლები მოაგვარებენ საქმეებს, საყვარელი ადამიანი - ტურნირის საორგანიზაციო საკითხებს, დაჯავშნის ბილეთებსა და სასტუმროს, ხოლო მის საქმედ რჩება veni, vidi vici. ეს უკვე ჩვევაა, როგორც იტყოდა თავად ფედერერი.

"მე ბედნიერი ვარ, რომ მყავს მირკა, ბედნიერი ვარ, რომ შეგვიძლია ერთად ყოფნა, - გულახდილია ჩოგბურთელი, - საუკეთესო უქმეები ჩემთვის ის დღეებია, როდესაც ერთად ვართ სახლში, მარტო მე და ის. მე ბედნიერი ვარ მისი ბედნიერებით და ამისთვის გავაკეთებ ყველაფერს, რაც კი შესაძლებელია."

2009 წლის 11 აპრილს, თითქმის ცხრაწლიანი ურთიერთობის შემდეგ, როჯერი და მირკა დაქორწინდნენ. ცერემონიალი შედგა ადრიან დილით, ჩოგბურთელის მშობლიურ ბაზელში, უახლოესი მეგობრების გარემოცვაში. რამდენიმე თვეში წყვილს შეეძინა ტყუპი გოგონა - მილა როზა და შარლინ რივა. ამ ფაქტმა დააგვირგვინა როჯერის და მიროსლავას ბედნიერება.

უიმბლდონი 2012-ის ფინალში, ყოველთვის აუღელვებელი მირკას, მშვიდი პოლ ანაკონეს და როჯერის მშობლების გარდა, ტრადიციულ ლოჟაში გამოჩნდა ორი ახალი სახე - ჩოგბურთელის ქალიშვილები მოიყვანეს მამის მორიგი ტრიუმფის საყურებლად, თუმცა, ასაკის გამო კორტზე მიმდინარე შეხვედრის პერიპეტიები მათ ნაკლებად აინტერესებდათ. მართალია, იმ დღეს ენდი მარის გულშემატკივრობდა მთელი ბრიტანეთი, მაგრამ ფედერერის უახლოესი ადამიანების გულწრფელი ქომაგობა უფრო ძლიერი აღმოჩნდა. როჯერმა გაიმარჯვა იმიტომ, რომ უნდოდა მირკასთვის ბედნიერების მინიჭება და ამისთვის, როგორც თვითონ ამბობს, ის ძალ-ღონეს არ იშურებს.

ოცნების რეინკარნაცია

პირველი გვერდიდან

მწვრთნელი: ჩაკ დეილი
ლიდერი: მაიკლ ჯორდანი
რეზონანსი: ლარი ბერდი და მეჯიკ ჯონსონი თანამედროვე კალათბურთს საძირკველს უყრიდნენ, კალათბურთის მონუმენტის ოფიციალური გახსნა კი 1992 წელს შედგა. ბარსელონაში მოხდა ის, რამაც მსოფლიო შეცვალა. კალათბურთი უბრალო თამაშიდან და სპორტის რიგითი სახეობიდან ხელოვნების რანგში ავიდა. სამართლიანია, რომ "ღმერთებს" Dream Team-იდან საზოგადოება ისე იღებდა, როგორც პოპ ვარსკვლავებს და არა როგრც სპორტსმენებს. ჩაკ დეილი ამბობდა, რომ მათ ისე უყურებენ, როგორც "ბითლზს" და ელვის პრესლის ერთად აღებულს.

ის, რასაც Dream Team მოედანზე აკეთებდა, ამ განწყობილებას კიდევ უფრო ამყარებდა. ასეთი დომინირება არც მანამდე ჰქონია ვინმეს და არც მას შემდეგ. გავიხსენოთ ჩარლზ ბარკლის ცნობილი ფრაზა: "ანგოლის ნაკრების შესახებ არაფერი ვიცი. სამაგიეროდ ზუსტად ვიცი, რომ ამ გუნდს სერიოზული პრობლემები ექნება". ეს ფრაზა Dream Team-ის ნებისმიერ მეტოქეს მოუხდებოდა. საქმე ის კი არ არის, რომ იმ გუნდის ყველა წევრმა (კრისტიან ლეიტნერს არ ვგულისხმობთ) კალათბურთში ყველაფერი იცოდა. მთავარი ის იყო, რომ მაშინდელი Dream Team რეალურად გუნდურად მუშაობდა. ის გუნდი კატა-თაგვობანას არავის ეთამაშებოდა. კალათბურთელები გამოდიოდნენ მოედანზე და მეტოქეს უბრალოდ ანადგურებდნენ. გუნდი, რომელსაც სუსტი ადგილი არ ჰქონია, მეტოქეს თამაშში საშუალოდ 43.8 ქულას უგებდა. ყველაზე მცირე სხვაობით კი ხორვატიის ნაკრები ფინალში დაამარცხა (განსხვავება - 32 ქულა). იდეალური ჯორდანი, პარდოქსული ბარკლი, პენსიიდან დაბრუნებული მეჯიკი და ლარი ბერდი, ორი დომინანტი ცენტრი და ყველა დანარჩენი - ეს მართლაც "ოცნების გუნდი" იყო.

ციტატა: "ვიყურები მარჯვნივ. იქ ჯორდანია, მარცხნივ - ჩარლ ბარკლი ან ლარი ბერდი. არ ვიცი რა ვქნა, ვის მივცე პასი". მეჯიქ ჯონსონი.

შეგრძნება: Dream Team ბარსელონას ოლიმპიური თამაშების მთავარ მშვენებად იქცა. მთავარი ამ გუნდში ის აჟიოტაჟი როდი იყო, რომელიც მის გარშემო შეიქმნა (მეტოქეები აშშ-ის ნაკრების წევრებს ავტოგრაფებისთვის დასდევდნენ. ამ გუნდმა სრულად დაჩრდილა დანარჩენი ოლიმპიელები. კალათბურთელებს დაცვაც კი დაჰყვებოდა). მთავარი იყო ის, რომ ეს გახლდათ გუნდი, რომელიც მუშაობდა. Dream Team არც დაცვაში თამაშს თაკილობდა და არც შეტევას იზარებდა. მეტოქეს პირველ რიგში დაცვით თრგუნავდა, შეტევაში კი ლამაზად და ლაღად თამაშობდა.

2. 2008 (Redeem Team)

შემადგენლობა: ჯეისონ კიდი, კობი ბრაიანტი, კარმელო ენტონი, ლებრონ ჯეიმსი, დუაიტ ჰოვარდი, კრის პოლი, დერონ უილიამსი, მაიკლ რედი, დუეინ უეიდი, ტაიშონ პრინსი, კარლოს ბუზერი, კრის ბოში

მწვრთნელი: მაიკ კუიჟევსკი
ლიდერი: კობი ბრაიანტი
რეზონანსი: ასეთი ყურადღება თვით პირველ Dream Team-საც არ ჰქონია. შესაძლოა, იმიტომაც, რომ ჩინეთში კალათბურთი ძალიან უყვართ და ამერიკელი მოთამაშეები ჩინელებმა ნახევრად ღმერთებად აქციეს. აჟიოტაჟი ყველას მოედო. კობი ბრაიანტი ნახევარი დღე ვერ ახერხებდა სასტუმროში შესვლას, სანამ ყველა მსურველს არ დაასაჩუქრებდა ავტოგრაფით. მოთამაშეები კი გამუდმებით ამტკიცებდნენ, რომ Dream Team არ არიან. ისინი, უბრალოდ, ჩავიდნენ ოლიმპიადაზე, რათა დაემტკიცებინათ, რომ საუკეთესოები არიან და ეს მათ გააკეთეს კიდეც. ის გუნდი საშუალოდ თამაშში 27.9 ქულას იგებდა.

ციტატა: "ან ოქრო, ან სრული ფიასკო". ლებრონ ჯეიმსი

შეგრძნება: გუნდი, რომელსაც 2004 წლის კრახი უნდა გამოესყიდა, მართლაც ყველაზე ახლოს მივიდა ლეგენდარულ Dream Team-თან. დიახ, ამ გუნდში იყო გარკვეული ელემენტები, რაც საერთო სურათიდან ამოვარდნილი გახლდათ. თუნდაც დუაიტ ჰოვარდმა, რომელიც ევროპულ კალათბურთთან ადაპტაციას ვერ ახერხებდა, ან ჩინეთში ტურისტებად ჩასული ბუზერი და პრინსი და საერთო ფონზე საკმაოდ დაბერებული ჯეისონ კიდი. სამაგიეროდ, ამ გუნდს ჰქონდა მიზანმიმართული სათამაშო გეგმა. ჰყავდა ლიდერი კობი ბრაიანტი, რომელიც თამაშს სწორედ მაშინ იღებდა თავის თავზე, როდესაც ეს საჭირო იყო.

3. 1996 (Dream Team III)

შემადგენლობა: გერი პეიტონი, რეჯი მილერი, სკოტი პიპენი, ჩარლზ ბარკლი, შაკილ ო'ნილი, ჯონ სტოკტონი, პენი ჰარდუვეი, გრანტ ჰილი, კარლ მელოუნი, მიტჩ რიჩმონდი, დევიდ რობინსონი, ჰაკიმ ოლაჯუონი

მწვრთნელი: ლენი უილკენსი
ლიდერი: ჩარლზ ბარკლი
რეზონანსი: უკანასკნელმა ოცნების გუნდმა შეძლო მთავარი - იმედი არ გაგვიცრუა. გუნდმა, ცხადია, დაკარგა ხიბლი მას შემდეგ, რაც წავიდნენ ჯორდანი, მეჯიქი და ბერდი, თუმცა, ხიბლის დაკარგვასთან ერთად, არ დაკარგულა ის დომინაცია, რომელიც ამ გუნდს ჰქონდა. ეს გუნდი მეტოქეებს საშუალოდ 32.3 ქულით ამარცხებდა. გუნდი თამაშობდა იდეალურად, მაგრამ მაინც ჩრდილში მოექცა. ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე ყურადღების ცენტრში აშშ-ის ქალთა ნაკრები იყო. ლიზა ლესლი, შერილ სვუპსი, დონ სტეილი და დანი მისნი მეტოქეებს ისევე აცამტვერებდნენ, როგორც ოთხი წლის წინ ამას ჯორდანის გუნდი აკეთებდა.

ციტატა: "სასაცილოა, მაგრამ ასეთ გუნდში ქულების დაგროვება არავის სურდა, რადგან სწორედ მთავარი ბომბარდირი უნდა წაეყვანათ დოპინგ კონტროლზე. ამას კი დაახლოებით ორი საათი მიაქვს. ამიტომ ყველა ცდილობდა, თავი აერიდებინა ამ მომქანცველი პროცედურისთვის. მოკლედ, მოედანზე ცოტა უცნაური ვითარება იყო. ყველა პასის გაკეთებას ცდილობდა და ქულების დაგროვებას ერიდებოდა". გრანტ ჰილი.

შეგრძნება: თითქოს დღესასწაული აღარ იყო. გუნდში დარჩა გენიალური პიპენი და ოდნავ გასუქებული ბარკლი, გამოჩნდა "მკვლელი" რეჯი მილერი, იქვე იყვნენ ოლაჯუონი და ო'ნილი, მაგრამ ის დღესასწაული, რომელიც 1992 წელს პირველმა Dream Team-მა გვაჩუქა, სადღაც გაქრა. ეს აღარ იყო "ოცნების გუნდი". ეს იყო უბრალო მანქანა, რომელიც მეტოქეებს ანადგურებდა.

4. 2012

შემადგენლობა: დერონ უილიამსი, კობი ბრაიანტი, კევინ დურანი, ლებრონ ჯეიმსი, ტაისონ ჩენდლერი,

კრის პოლი, რასელ უესტბრუკი, ანდრე იგუოდალა, ჯეიმს ჰარდენი, კარმელო ენტონი, კევინ ლავი, ენტონი დევისი

მწვრთნელი: მაიკ კუიჟევსკი
ლიდერი: ლებრონ ჯეიმსი
რეზონანსი: ლონდონი პეკინი არ არის და ეს, ალბათ, მთავარი პრობლემაა. აშშ-ის ნაკრებმა ვერც ერთ თამაშზე ვერ შეკრიბა სრული ანშლაგი. ყველა დანარჩენი ატრიბუტი კი ადგილზე იყო. კობი კვლავ დიდ დროს უთმობდა გულშემატკივრებს და მათთან ფოტოების გადაღება არ ეზარებოდა. ჰარდენი ინტერვიუებს არიგებდა, დევისს მაისური დარჩა გასახდელში და ყველამ ერთად სათადარიგოთა სკამზე სიცილის რეკორდი დაამყარა.

ციტატა: "ჩვენ დავამარცხებდით 1992 წლის გუნდს. ისინი უკვე ასაკში იყვნენ, ჩვენ კი გვყავს ახალგაზრდები, რომლებიც ნებისმიერს გადაუვლიან". კობი ბრაიანტი.

შეგრძნება: ხელოვნურად შექმნილი კონკურენცია რომ არა, 1992 წლის გუნდთან ახლანდელი Dream Team განსაკუთრებულ ყურადღებას არც მიიქცევდა. ეს გუნდი უსაზღვროდ ნიჭიერია და დომინირებს ყველაზე. თამაშობს მოშვებულად და თავისუფლად. 2012 წლის ნაკრებში მთავარი ის არის, რომ ეს გუნდი სრულად ასახავს იმ ლიგას, რომელსაც წარმოადგენს. ეს გუნდი მთლიანად ინდივიდუალისტებზეა დაყრდნობილი.

5. 2000

შემადგენლობა: გერი პეიტონი, ვინს კარტერი, ალან ჰიუსტონი, კევინ გარნეტი, ალონზო მოურნინგი,

ტიმ ჰარდუვეი, სტივ სმიტი, ჯეისონ კიდი, რეი ალენი, შარიფ აბდულ რაჰიმი, ანტონიო მაკდეიესი, ვინ ბეიკერი

მწვრთნელი: რუდი ტომიანოვიჩი

ლიდერი: კევინ გარნეტი
რეზონანი: 2000 წლისთვის მეტოქეებისთვის მუსრის გავლების სურვილი NBA-ს ვარსკვლავებმა დაკარგეს. ოლიმპიადაზე თამაშის სურვილი ლიგის ყველა წამყვანმა ვარსკლავმა როდი გამოთქვა. თავად ამერიკელებსაც კი მობეზრდათ ნაკრების ყურება და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ნახევარფინალში აშშ-ის ნაკრები მარცხს ბეწვზე გადაურჩა, ტელეკომპანია NBC-მ ფინალის რეპორტაჟი პირდაპირ ეთერში გაუშვა.

ციტატა: "ეს იყო სიკვდილის დანკი"

შეგრძნება: სავარაუდოდ, ფსიქოლოგიური მიზეზის გამო ის ნაკრები ყველასთან მძიმედ თამაშობდა. არავითარ დომინაციაზე საუბარიც კი არ ყოფილა. ოქრო კი მხოლოდ იმიტომ მოიგო, რომ ნამდვილი მებძოლები მაშინაც კი ბოლომდე იბრძვიან, როდესაც მათ ოლიმპიური ოქრო არ სჭირდებათ.

6. 2004 (Nightmare Team)

შემადგენლობა: ალენ აივერსონი, სტეფონ მარბერი, რიჩარდ ჯეფერსონი, ლამარ ოდომი, ტიმ დანკანი, დუეინ უეიდი, კარმელო ენტონი, ლებრონ ჯეიმსი, შონ მერიონი, კარლოს ბუზერი, ამარე სტაუდმაიერი, ემეკა ოკაფორი

მწვრთნელი: ლარი ბრაუნი
ლიდერი: ტიმ დანკანი
რეზონანსი: ეს გუნდი მხოლოდ მაშინ შეამჩნიეს, როდესაც ყველაფრის წაგება მოასწრო. ამ გუნდის გადარჩენა კევინ გარნეტს შეეძლო, მაგრამ მას იმ ზაფხულს ქორწილი ჰქონდა დაგეგმილი და ოლიმპიური თამაშებისთვის არ ეცალა.

ციტატა: "რა ხდება? უბრალოდ, შესაძლოა, ჩვენც ვერ მოვიგოთ". ბილ სიმონსი

შეგრძნება: 2004 წლის გუნდთან დაკავშირებით ყველაფერი მარტივადაა. ამერიკის კალათბურთის ფედერაციამ უბრალოდ შეკრიბა ის მოთამაშეები, ვისაც ოლიმპიადაზე გამგზავრება სხვებზე ნაკლებად ეზარებოდათ. აივერსონი და მარბერი თავისთვის თამაშობდნენ და გუნდი არ აღელვებდათ. ლებრონს და ენტონის უბრალოდ გამოცდილება აკლდათ. მოკლედ, ეს გუნდი თავიდანვე განწირული იყო. საბოლოოდ გუნდი, რომელსაც მანამდე არსებობის მანძილზე მხოლოდ ორი მარცხი ჰქონდა (112 თამაშში), სამჯერ დამარცხდა.

დავით უსტიაშვილი: "ფაჩულიას კუნთი დაეჭიმა და მისი თამაში არ გავრისკეთ"

გერმანია - საქართველოს ამხანაგური მატჩის შემდეგ საქართველოს საკალათბურთო ნაკრების მთავარი მწვრნელის ასისტენტმა დავით უსტიაშვილი საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვებგვერს მისცა ინტერვიუ. შეგახსენებთ ხსენებული მატჩი საქართველოს ნაკრები ანგარიშით 57:68 დამარცხდა.

- როგორც მატჩის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე ფედერაციის ვებ-გვერდთან საუბარში აღვნიშნე, ფაჩულიას კუნთი ჰქონდა დაჭიმული. მე კი ვთქვი, რომ სერიოზული არაფერია და ზაზა ითამაშებდა, მაგრამ მოედანზე არ გავიდა. სერიოზული მართლაც არაფერია, მაგრამ ექიმების რჩევით, მაინც თავი შევიკავეთ მის დატვირთვისგან. რამდენიმე დღეში პირველი ოფიციალური მატჩი გველის და ვერ გავრისკავდით. დაჭიმული კუნთი რომ გამიზეზებოდა და უფრო სერიოზულ ტრავმაში გადაზრდილიყო, ამის ალბათობა არსებობდა და ამიტომ მწვრთნელთა შტაბმა ფაჩულიას დასვენება გადაწყვიტა.

- ალბათ გაგიჭირდათ ფაჩულიას გარეშე...

- რა თქმა უნდა, გუნდის ხუთეულის წევრის არყოფნა უარყოფითად აისახა, მით უფრო, რომ გერმანელებს საკმაოდ ტანმაღალი მოთამაშეები ჰყავთ და ხშირად აქცენტსაც ამ კომპონენტზე აკეთებდნენ. მიუხედავად ზაზას არყოფნისა, მინდა ვთქვა, რომ გუნდმა ბოლომდე, ღირსეულად იბრძოლა და მოგების შანსს ბოლომდე ინარჩუნებდა. თუმცა აქამდე არაერთხელ ნათქვამ გავიმეორებ და აღვნიშნავ, რომ მოგებაზე მეტად ჩვენ სათამაშო დისციპლინის, კომბინაციური თამაშის დახვეწა გვსურდა, რაც გამოგვივიდა კიდეც. თამაშის მსვლელობისას ვიმუშავეთ დაცვით ტაქტიკაზე, რამაც ის შედეგი გამოიღო, რომ ერთ ეპიზოდში გერმანიამ 5 წუთის განმავლობაში ბურთი ვერ ჩაგვიგდო. ეს შეხვედრა ძალიან სასარგებლო იყო და მისი მოგებაც შეიძლებოდა, მაგრამ მსაჯები რამდენიმე ეპიზოდში აშკარად მასპინძლებს მიუდგნენ. არ მიყვარს მსაჯებზე რაღაცეების გადაბრალება, თუმცა გერმანიასთან შეხვედრაში რამდენჯერმე მასპინძლებზე აშკარა მიკერძოებას ჰქონდა ადგილი. მაგრამ არაფერია. ამის გამო არაფერი დაქცეულა. მთავარი ის იყო, ორმ გუნდის წევრებმა კიდევ ერთ სერიოზულ მეტოქესთან ბრძოლაში გამოცდილება მიიღეს და შეთამაშდნენ.

- მატჩის ბომბარდირი გახდა ჯეიკობ პულენი, რომელმაც ძირითადში ადგილი კორი ფიშერთან კონკურენციაში მოიპოვა.

- პულენი შესანიშნავი მოთამაშეა. მოხარულები ვართ, რომ ის ჩვენი გუნდის წევრია და იმედი გვაქვს, რომ შესარჩევ მატჩებშიც დაგვეხმარება.

- მან გამთამაშებლად ითამაშა თუ მსროლელის პოზიციაზე?

- იყო მომენტები, როცა გიორგი ცინცაძე და ჯეიკობ პულენი მოედანზე ერთად იმყოფებოდნენ, მაგრამ ამას თავისი ახსნა აქვს. პულენი გამთამაშებელია და ძირითადად პირველ ნომრად ითამაშებს. მას როგორც ქულების დაგროვების ალღო აქვს, ისეთივე წარმატებით შეუძლია ბურთის გათამაშება და პასების დარიგება.